

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 84

2020



მთ. რედაქტორი

გელა გასპიანი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-891-5 (84 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...


კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიჟისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი





„გულივან შესვები ყოველ შებას, ყოველ ძაბვას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

დედამიწიდან პოეტს საუბარი მოესმა და
ვარსკვლავთა ოქროს კბილების ელვარება სხი-
ვებად მივიდა მასთან სიცილით, ხოლო ელვამ
თვალი ჩუმად ჩაუკრა და ცამ სიხარულით გა-
დაიხარხარა:

გიხაროდეთ! ჩვენთან

დიდებული სტუმარიაო.

პოეტმა ოცნებაში დაინახა, რომ ცა გაიხ-
სნა, მიწა ამაღლდა, ღრუბლები უზნეო ბაგშვი-
ვით ატირდნენ, ხოლო თვითონ ასეთი მიღებით
აღფრთვანებული, როგორც ლეგენდიდან მოსუ-
ლი კოლხი იდგა ზღვისკარად და თქმულებებს
აშრიალებდა:

„...როგორც დვთის შექმნილ ქმექნაში ნახვად –

ერთი დღით მოსული,

როგორც დვთისადმი შეწირული

პირველი მსხვერპლი“...



პოეტმა როცა საოცრება დაინახა, გაოცე-
ბულმა იკითხა – რა არის და რა ხდებაო!

– პო, ეს დიდი მეცნიერებაც არის და სიმ-
შვენიერეცო, ამერიკის ქალაქ პორტლენდის მეც-
ნიერებისა და ტექნიკის მუზეუმში არის გულის
მოდელი, რომელიც ერთადერთია მსოფლიოში.
მსურველებს შეუძლია დათვალიერებისას შევიდ-
ნენ და სისხლძარღვების საშუალებით გაიარონ
ის გზა, რომელსაც სისხლი გადის ადამიანის
სხეულში.

„მართლაც რომ საინტერესოა... თქვა პოეტ-
მა. იცით, თქვენ, მიმართა მან ვარსკვლავეთს –
ჩემი პოეზიით უნდა გავიარო ქართველი ერის
გულში, და თუ შევძლებ თუნდაც ერთი სიმის
შერხევას, ჩემი ცხოვრების მიზანს მიღწეულად
ჩაგთვლი.

– ეს დიდებული აზრია – იყო პასუხი.
ნახეთ, თქვენი წამოსვლის გამო,
„ტყეები ქარში პირს იკაწრავენ,
ფოთლები ცრემლებად სცვივათ“.
ოცნებაში მყოფი პოეტი დიდებული გასცემ-
როდა შემოდგომის ფოთოლცვენას.
– ნუ გგონიათ პოეტო, საოცარი რამ ხდე-



ბოდეს, უბრალოდ ფოთოლი ფერს იცვლის და იწყებს ცვენას, ამას ხელს უწყობს შემოდგომაზე ტემპერატურის დაცემა, რის გამო მცენარის წყლით მომარაგება სუსტდება და აორთქლებაც მცირდება. ფოთლები ამ დროს მობერებულია, გაისმა ხმა.

— განა ფოთლებს უნდათ სიბერე? — ჩაილაპარაკა პოეტმა და მზერა დედამიწისკენ გადაიტანა.

— რასაკვირველია არა, მაგრამ მათი უჯრედების გარსზე, ასევე პლასტიდემებში გროვდება მინერალური მარილები და იწყება ფოთოლცვენა. ჩამოცვენილ ფოთლებთან ერთად მცენარეს სცილდება მავნე ნივთიერებები, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში მცენარის ფოთლებში გროვდება, ახსნა იღუმალმა ხმამ.

— დმერთო, რა დასანანია, განა ფოთლებს უნდათ სიკვდილი? მას უმალ მოაგონდა თავისი მშობლები.

„დედა, ტკივილს მიშუშებენ მოგონებები!“

სამშობლოზე უზომოდ შეევარებულ პოეტს ენატრება:

„ზაფხულის ბაღში,



კოლხურ საღამოს –
იგალობენ, როცა შაშვები.
როცა ფაცხებში იმედივით
შუქი იალებს,
მაშინ ვარსკვლავებს უნდა აშვება
და ისმის ციდან უმძიმესი
ჯაჭვის ზრიალი.“

შაშვების გალობა ეს მისი სურვილია და
ლამაზი აღქმა, მაგრამ მონადირის მიერ მოკლუ-
ლი შაშვის დანახვამ შეაძრწუნა, რატომ მოპკლა
მონადირემ შაშვი? ქვეყნად რატომ ესვრიან უდა-
ნაშაულოს? სიცოცხლე ხომ ერთია! ვის აქვს მი-
სი წართმევის უფლება? რატომ უნდა იყვნენ
ადამიანები სისხლის მოყვარულნი? – წარსული-
დან ხომ თვალებდათხრილი ნიჟარების უამრავი
სევდიანი არია გაგვიგონია... ნუთუ არ გვეყო?!

„სიცოცხლის ბაღში მიმწუხრამდე
მზე ეგალობა
და სიმდერებით სავსე სული
როცა დაცალა,
სურომორეულ წიფელაზე ჩამოიძინა,
მაგრამ უეცრად ესმა ძილში თოფის ძახი-
ლი,



შეკრთა...

თვალები ერთი წამით კვლავ გაახილა,
რათა იმწამსევ დაქხუჭა სამარადისოდ.

„შაშვის სიკვდილი“.

ეს, თავო ჩემო, თქვა პოეტმა, მძიმეა ამ შაშვის სურათის ხილვა, საერთოდ ადაიანის სხელი, სივრცეში, დაახლოებით 1000-მდე ცხოვრების მდგრადობას იჭერს. რა მდომარეობაშია ჩემი სახის გამომეტყველება შაშვის თვალის სამუდამოდ დახუჭვის შემდეგ, ალბათ აშკარად ჩანს, თანდათან ჩამოვდივარ ციდან და ერთი ემოციური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა მიწევს. ეს კი; ფსიქოლოგიური პროცესების სიჩქარე, რიტმი, ტექსტების, მიუწვდომელების ნახვა, მიწის, ზღვის, ოკეანის, მთის გადაღმა, ასევე გარსკვლავეთში და მთელ სამყაროში მოგზაურობაა, მაგრამ ცის სიმყუდროვეს ქუხილი არღვევს და ვარდისფერ ძაფით ელვა ბნელს ლამპარს. ვხედავ, რომ ნაპირს მოასკდა სირბილით დადლილი ზეირთი და დამის მომწვანო სიბნელე კი არა, წარმოიდგინეთ, ვიღაც გოგონა ყოფილა, რომლის ხმამ ოცნებიდან გამომიყვანა და გარსკვლავეთიდან მიწაზე დაგეშვი.



ოდნავ ცრიდა, სასიამოვნოდ მიგრილებდა სახეს, მაგრამ მაინც შევძელი ლამაზი ია-იების ხილვა. ყოველ მათგანს მოვეფერე, მოვეალერსე, მაგრამ ბინდი ჩამოწვა და სიბნელემ ია-იები და-მიფარა.

— მე ვეჭვიანობ — თუმცა ოცნებით, ცაში უფრო მეტად დაეხეტება, მითხოვა და გადაიკის-კისა გოგონამ;

„მაღლა უფალმა —
ერთმა მან იცის,
ღვთაებრივ სიყვარულს —
ვინც ლამე ჟთია,
ვინც ტრფობის მდინარეს მიჰყვება
ტივივით.

რომ ქალი —
კაცისთვის ლამაზი წუთია,
ქალისთვის კაცი კი —
მარადი ტკივილი“...

რომ ქალი კაცისთვის ლამაზი წუთია, მაგ-
რამ ამას ჭირდება ლამაზად აღქმა, გაიმეორა
რამდენიმეჯერ პოეტმა, რამ ააღელვა ახალგაზ-
ნდა პოეტის გული? სიყვარულმა?.. თუ იმ გოგო-
ნამ, რომელმაც ვარსკვლავეთიდან დააბრუნა?



ჩვენი ვიცით, რომ მეცნიერებმა დაამტკიცეს ადა-
მიანების ცხოვრების გზა მთლიანად დამოკიდე-
ბულია ვარსკვლავებზე პროფესორ პერსი სვიმუ-
რის აზრით, თითოეული პლანეტა ავრცელებს
გრავიტაცულ ტალღებს, რომელიც „კოსმიურუ იმ
გოგონამ, რომელმაც ვარსკვლავეთიდან დააბრუ-
ნა? ჩვენი ვიცით, რომ მეცნიერებმა დაამტკიცეს
ადამიანების ცხოვრების გზა მთლიანად დამოკი-
დებულია ვარსკვლავებზე პროფესორ პერსი სვი-
მურის აზრით, თითოეული პლანეტა ავრცელებს
გრავიტაცულ ტალღებს, რომელიც „კოსმიურ მუ-
სიკას“ ქმნის. ეს „კოსმიური მუსიკა“ კი არა,
ახალგაზრდა პოეტისთვის აღქმა, აღმაფრენა და
სიყვარულია – იყო თქმული ვარსკვლავეთიდან.

– თუ მეცნიერად მოვუდგებით, განაგრძო
გრიგალმა, ბრიტანელი მეცნიერებიც ამტკიცე-
ბენ, რომ აუხლოესი 20 წლია მანძილზე შესაძ-
ლებელი გახდება მკვდარი ადამიანის ტვინიდან
ინფორმაციის წაკითხვა, თუ მოხერხდება ტვინის
ინფორმაციის წაკითხვა, თუ მოხერხდება ტვინის
შენახვა, შესაძლებელი იქნება იმ ინფორმაციის
მიღება, რომელიც სიკვდილამდე ტვინში დაგ-
როვდა.



ამ აღმოჩენის პრაქტიკაში დანერგვა მოი-
ტანს ხელოვნური არსების შექმნას, რომლებიც
შეძლებენ დამოუკიდებლად სიცოცხლეს და გამ-
რავლებას. როგორც ხედავთ სიყვარული მუდმი-
ვად იცოცხლებს მთელს სამყაროში.

— ოო, კარგია, კარგი. ამიტომ შევიყვარე მე
სამყარო და პოეტი,

როგორც დედა და ერი ქართველი, — თქვა
გოგონამ და გადაიკისკისა. სიყვარულზე ყველა-
ფერი მოქმედებს — ახმიანდა ბულბული, აშრი-
ალდნენ ფოთლები, აღელდა ზღვა, მზემ უხვად
გადმოდვარა სითბო.

— კერძოდ რა? — შეეკითხნენ ერთხმად.

— გოგონამ უშიშრად დაიწყო — მეცნიერებ-
მა დაადგინეს, რომ ავტომობილის ხმაური ზო-
გიერთ მგალობელ ფრინველში სქესობრივი
ლტოლვის ბლოკირებას იწვევს.

ვაჲ, ვაჲ, ეს რა გვესმის, — შეიცხადეს
ფრინველებმა.

— წიგწივები და ნიბლიები საერთოდ ვერ
მრავლდებიან, ტრანსპორტის ხმაური ჩიტების
გალობას ხელს უშლის და ამით მათ აკუსტი-



კურ ურთიერთობას არღვევს. ეს კი საქორწინო
რიტუალის მნიშვნელოვანი ნაწილია.

გოგონას ნათქვამმა ფრინველები დააღონა,
სამაგიეროდ, ახალგაზრდა პოეტს ძალიან გაუ-
ხარდა და მოეწონა გოგონას აზრიანი საუბარო.
მიუხედავად მის სახეზე გამოხატული სევდისა,
სიმკაცრისა მან გაიღიმა და გოგონას მიმართა;

„შენი თვალიდან ამოდიან

სიყვარულის განთიადები,

რომლებმაც ჩემსკენ გამოარღვიეს –

ღამის სიბნელე და სიშორის ფერმკრთალი
სივრცე.

მდინარეები – ჩვენი ძარღვია

და ბობოქარი ზღვა –

გულად გვიცემს.“

– ზღვა გულად გვიცემს? – შეეხმიანა გო-
გონა.

– ო, ჩემო სიცოცხლევ, შენი ხმა რომ მეს-
მის...

„შეშინებული ფართქალებს გული,

თითქოს მთელი დღე

სიკვდილმისჯილს

გზაზე ერბინოს“ –



– მაგრამ შენს გამოჩენას, ჩენს გაცნობას ველოდები – უთხრა აღფრთვანებით იმ პოეტმა, რომელიც გამჭოლავი მზერით მიწისეულ სიღმეს გაჰყურებდა ისე, რომ არც ერთ გარე ზემოქმედებაზე დადებითად ძარღვი არ შეტოკებია, მაგრამ გოგონას თბილმა და ტკბილმა ხმამ, შეუცვალა განწყობა უკეთესობისკენ. იგი მოლბა, სევდიანი გულის ყველა ძარღვი აახმიანა და თავისდაუნებურად ამოაყოლა სულს – „უნდა დავნებდეთ უამთა დინებას“...

თუ ამ უამთა ვითარებას სიყვარულის ნაკერწყალი ახლავს – ჩაილაპარაკა თავისთვის.

მადლი უფალს, თქვა პოეტმა –

„მსუბუქი როგორც პეპლის ფარფატი...

არსად არავინ...

მხოლოდ მე ვიცი.

მოვა და... უცებ სიყვარულის დამადგამს გვირგვინს

და... ყველასგან შეუმჩნეველი –

მე მიყვარს იგი.“

უმანქო გოგონა, თუმცა ჯერჯერობით ყველასგან შეუმჩნეველია, მაგრამ მან



„მე მაპატიოს და ნუ
შემრისხავს,
თუ მის დიდ აჩრდილს –
შორიახლო ავედევნები.“

- გიყვარდეს ყოველივე ღვთის მიერ შექმნილი. მთელი სამყარო და ყოველი ქვიშის მარცვალი, მაშინ იქნები ბედნიერი შენს სიყვარულთან, მოესმა პოეტს ზეციდან.
- ნიშნად თანხმობისა პოეტმა ჩუმად დახარა თავი, სანთელი აანთო და პირჯვარი გადაიწერა.

– იცოდეთ! განაგრძეს საუბარი ვარსკვლავეთიდან – ვისაც ცოცხალი ღმერთის ხილვა სურს, ცის კამარაზე კი არა ადამიანურ სიყვარულში უნდა ეძიოს. ადამიანი, ადამიანის წინასე, თითოეულ ადამიანზე და უველაფერზე აგებს პასუხს. თანაგრძნობა ადამიანის არსებობის უმაღლესი ფორმა. ადამიანში მთავარი ისაა, რაც მას მართავს – ხასიათი, გულაქოთილი გრძნობები, მოწინავე იდეები და მებრძოლი სული და ა. შ.

ადამიანს უნდა აშინებდეს ერთი რამ – საჯუთარი ტანჯვის დირსი რომ არ გახდეს.



ადამიანს უნდა უყვარდეს ყოველი ფოთო-
ლი, ღვთიური შუქის ყოველი სხივი, გიყვარდეს
ცხოველები, მცენარეები, გიყვარდეს შენს გარ-
შემო ყველაფერი, მაშინ არსებობის ღვთიურ სა-
იდუმლოს აღიქვამ და როცა მას აღიქვამ, დღი-
თიდღე უკეთ შეიცნობ და ბოლოს სამყაროს
შეყვარებას შეძლებ. ნურასოდეს ნუ წახვალო
ღვთის ნების წინააღმდეგ, ეს კი პირად ბედნიე-
რებაში ხელს შეგიწყობს.

— ერიჲა, ნათქვამი ყველაფერი კარგია,
ღმერთი ხალხის საფიცარია, მაგრამ...

„გადავიწყებას წუხს ეკლესია —

და ისევ უხმოდ რეკენ

ზარები,

მლოცველთა ცეცხლი ჩამქრალა და

ერია ნაცარი,

არც კვირის წირვა,

არც მსახური,

აღარც მნათე, და

მხოლოდ ჭინკების ისმის ტკარცალი —

მიტოვებული ეკლესიის ცივ გუმბათიდან“.

— სავალალო ფაქტია, გაისმა ხმა იდუმალი,
მაგრამ თავისუფლების მოპოვება სისტემურ რე-



ჟიმში ადგილი არ იყო. თავისუფლება კაცივით
იბადება და მის მოვლინებასაც ახლავს ხოლმე
გაუსაძლისი სამშობიარო ტკივილები.

1989 წლის 9 აპრილს ძლიერი ტკივილით
დაიწყო საქართველოში თავისუფლების მოვლი-
ნება... ცხრა აპრილის მარტვილები ამ ახლად
მოსავლენი ყრმის – თავისუფლების მახარობ-
ლები არიან, მისთვის სისხლდანთხეულები,
სწორედ მათ გაიღეს თავისუფლებისთვის ყვე-
ლაზე დიდი გასაღები – სიცოცხლე...

– ვაი, რომ დაიღვარა სისხლი... დაიგვრგვი-
ნა გრიგალმა, დაიძრა მთები უქმაყოფილების
გამოსახატავად, აზრვითდნენ ზღვის ტალღები
გასროლილი ტყვიის მისაღებად, აშრიალდნენ
ტყეში ფოთლები, ახმიანდა ბულბული და სა-
სახლის წინ დაცემულთათვის იწყო „უკვდავი
სულის“ გალობა:

„არ ვტოვებდი მცხეთას, თბილისს,
თუმც მემოსა

შავი ღამე,
ქართლში მაინც მედგა ტახტი,
ეხლა მოველ?

რასა ბრძანებ!



მე ვახტანგს და
დავითს ვახლდი.“

პოეტი, როგორც საღად მოაზროვნე,
ფლობს შინაგან ლოგიკას – ერის სიდუხშირი-
სას. ყოველი მისი ლექსი სიღრმისეულია, ბადე-
სავით გარს ახვევია ინტელექტი და მოვალეო-
ბის გრძნობა სამშობლოზე ზრუნვისა, მისი ერუ-
დიცია, ფანტაზია, განუმეორებელი მეტაფორა,
ორიგინალობა, მზის სხივივით ათბობს მკით-
ხველს. იგი ლექსს გაზაფხულის ყლორტივით
აცისკროვნებს, მკითველს იზიდავს. სამშობლო-
სა და ერის სიყვარულით აფრენას ლამობს გა-
დივით – მოისმა კვლავ ხმა იდუმალი.

ამის გაგონებაზე ტალღები აზვირთდა და
მოასკდა ნაპირს:

„პონტოს ოხვრა და ფაზისის კვნესაა,
მტკვრის „ბუტბუტი“

და „ღრიალი თერგის“
ვეძებე და შენს ლექსებში
კპოვე.

საქართველო ძეგლად გიდგამს ეგრისს –
მომავალი საუკუნის პოეტს“.
– მშვენიერია, მაგრამ რა ვქნა, მე გულს მო-



კოდავს პოეტის მიერ ნასროლი სიყვარულის ისარი... – მოისმა ხმა იმ ცქრიალა გოგონასი, რომელმაც როიალზე კლავიშები ისე ააჟღერა, რომ უსამანო სიცემშიც ყველა სულგანაბული უსმენდა, მაგრამ საოცარმა ლამაზმა ხმამ და სიტყვებმა ჰანგი გაწყვიტა –

„მინდა ისეთი ხოტბა შეგასხა,
ბესიკ გაბაშვილს

რომ აქვს ანაზე...

რა მამყოფებდა ქვეყნად მე მშვიდად,
ალბათ სიკვდილზე ფიქრი შემშლიდა –
შენ რომ არ იყო ამქვეყანაზე“.
მე კი პოეტო, შენი ტრფობის უდელში ვარ
შებმული –

„ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი
და სიყვარული გავდოთ ხიდებად“...
– ახალგაზრდებო, ამ ხიდზე ლამაზად გავ-
ლას გისურვებო – გადმოსძახეს თეთრმა ღრუბ-
ლებმა და ვარსკვლავებიც უფრო გაბრწყინდნენ.

„მე მქონდა რწმენა –

ციხე ვიყავ
აუღებელი“...

მაგრამ სიხარულის ცრემლი და სიყვარუ-



ლის წვიმა წურწურით ჩამომდის, ჩემს ცრემლებსა ჰგავს ხობის წყალი, რომელიც ჩემსკენ მოპქრის საშველად და ვერ იკავებს დამბა. ნუ ტავ ასე ჩქარა რატომ მიცემს გული?!

— „მისი ხმაა, იგი მოდის ალბათ, სადღაც ახლოს მესმის თქარა-თქური“. პოეტი ზღვასავით ალელვებულია, ალბათ კვლავ სიყვარულის ცეცხლი მოხდებია.

მისი ფიქრების თეთრ ღრუბლებში მოჩანს იმედი, ვით ოქროს ვერძი, რომელსაც ჩუმად ელგვის...

— რატომ ჩუმად? განა სიყვარული დასაგმობია? თქვა გოგონამ ამაყად და გულიანად გადაიკისკისა.

— გოგონა, როგორც ჩანს, მე და შენ სულ სხვა ცეცხლი გვწვავს, მაგრამ რაც მთავარია, ორივეს თავზე დაგვნათის საქართველო, რომელსაც ფესვები მაგრად აქვს გადგმული ჩვენს სულში და დგას შეუდრეკელი, პიტალო კლდედ. ასე მგონია ჯერ მთლად ბაგშვი ხარ და მსურს იბრწყინო სულ გარსკვლავად — უთხრა პოეტმა აღფრთოვანებით.



— კომეტად არ გინდა? — ღიმილნარევი
ხმით შეეკითხა გოგონა.

— თუ კომეტაში ერთად ჩავსხდებით და
გეზს კოსმოსისაკენ ავიდებთ დიდებული იქნება
— შეეხმიანა სიყვარულით პოეტი.

მერცხალა გოგონა, ჯერ ტკბილი ხმით
დიდხანს ეჭიკჭიკა პოეტს, ხოლო შემდეგ ლექ-
სით დააგვირგვინა:

„ელტვი ზეცის ლაჟვარდებს, —

თითქოს ირიჟრაჟაო,

გვეავდა დიდი ვაჟა ჩვენ,

და... ახლა შენ ვაჟაობ!

სულ იბრწყინე ვარსკვლავად,

განა მცირე კომეტად,

უსაყვარლეს რაინდად,

უპირველეს პოეტად.“

ტატა ღიოსპურელი
ნაწყვეტი წიგნიდან — აღქმა ანუ
ხაოცრებათა სამყაროში

გაგრძელება შემდეგ ტომში



ნემი

ნაშიერია რკინის,
არა აქვს ძირი
და ფეხვი
და შავზე, აჩენს თეთრ სინათლეს.
პატარა ეშმაკია
ნემის,
მიდის და...
ძაფის კუდს
მიათრევს...

1954

თვალები

ელვისა და მეხის მტყორცნელს –

შეშურდება თვითონ

ზეგსსაც,

შენ რომ მაცილს –

მახვილს სცემდე!

და...

თვალები შენი მადლის

ცრემლებს თესავს –

სიყვარულის ნაყოფი

რომ აღმოცენდე!

2011



როგორც დიონისე

ქვევრში ბორგავს ოჯალეში,
ეძალები ღვინოს ისევ,
რომ კოლხურად
იღიღინო...
და შენც,
როგორც დიონისემ,
ძალგიძს,
წყალსაც აქცევ ღვინოდ.

1973



დალტონი

ათასფერში შენს ფერს ეძებ
და ფერს –
ფერებს დაატოლებ,
თუმც ფერებში არ გყავს ტოლი.
პოეზიის ცნობ
დალტონებს,
თუმც არა ხარ შენ
დალტონი!*

2019

* დალტონზე – მხედველობის ნაკლი, რომლის დრო-
საც ადამიანი ვერ არჩევს ფერებს. (ინგლისელი მეცნიე-
რის დალტონის სახელის მიხედვით).

სამყარო

(ვარიანტი)

რადგან დროა საპყარი,
მინდა ციდან ვარსკვლავი
ერთიანად ავყარო!
(დღეებს მიტომ ვაბრტყელებ!)
ხელისგულზე სამყარო
მიზის –
ჩიტის ბარტყივით.

1954



* * *

ვარსკვლავებით ცა ისეა
მოჭედილი,
გაპარულა...
და თვითონ
ცა არა ჩანს!
ღამე ბნელში ელვით კერავს მზის
საკაბეს,
დილით დღეს რომ
ჩააცვას.

1963



მრიდული და შმა, ქიში

ათასწლეულების იქიოთ,
სად პირველი „გონი“ იშვა,
(აღარ იყო ეს იოლი.)
შენდებოდა ქალაქები:
ერიდუ¹ და
უმა²,
ქიში³,
მემფისი⁴ და ბაბილონი⁵.

1962

1,2,3,4,5 – შემცრთა ქალაქები (ძვ. წ. აღ. XVIII-XVII სს.)



ხომლის მთა

საუკუნეები მიიღია,
გით პოეტები –
ბჭობენ ხოლმე,
შენზე, შერით მთვრალები!!!
რომ „კოლხური
ფსალმუნები“,
მთაა ხომლის,
საჭირო იდუმალებით.

1999



ხსოვნა

როცა წარგვტაცებს
მოყვასს მაცილი
და გაითხრება მისი სამარე!
სასაფლაომდე –
ყვავილებით ჩვენ
მივაცილებთ,
მერე დავტოვებთ მარტოდ-მარტოს
ხსოვნის ამარა
და...
ასე მიდის ჩვენი ცხოვრება!

2019

სასრულობის – შსასრულობა

დასავლეთიდან –
მზეს მიმავალს
აღმოსავლეთით,
ცა ვარსკვლავების ფიანდაზს
უვენს!
მნელი ყოფილა მზის ძეობა
და ასულობა.
და...

შენში, როგორც,
გით ჰელიოსში,
მეფობს და სუფევს –
სასრულობის –
უსასრულობა.

2019

უცხო სტუმარი

ათასწლეულთა გზა – ბილიკებით

მოსულს –

შორეული ურიდან.*

(თუ შენ გამჩენმა დაგანება.)

გინდა გაღწევა ჯოჯოსეთურ


ამ სმაურიდან

და მარადიულ სიჩუმეში

დაგანება.

2019

* ური – ქართველთა შორეული წინაპრების დედაქალაქი
(მესუთე ათასწლეული.)



* * *

უკვდავების გზების პოვნას,
ადამის ძე მაინც
ცდილობს,
ასეთია წესი სოფლის.
რადგან ქვეყნად
უსიკვდილოდ,
კაპიკია ფასი ყოფნის.

2019



შვილო რეა-კიბელას

შენში სული ბობოქრობს
ფაზისის და
ნილოსის,
მიტომ ათასწლეულებს
მიპკაფავ და
მიბელავ...
ვაჟავ! –
ძევ ჰელიოსის¹,
შვილო! –
რეა-კიბელას²!

1961

¹ ჰელიოსი – მზის ღმერთი

² რეა-კიბელა – ღმერთთა და ადამიანთა დედა



შუმერები

ხუთიათასი წლის შემდეგაც,
ყოველ დღე და
ყოველ დამე,
ცისკენ ხელბაპყრობილი
თხოვ „შუმერთა –
საიდუმლოს“,
იმათ ქურუმებს
და ლამებს.

1979



ის მთხვი და მს ზრუდე

მეტი მიღირს ყოფნაზე
ცის და უსასრულობის,
თვალის ერთი შევლება,
მაგრამ ისევ მაკავებს
ის მთები და
ეს ზღუდე!
ნეტავ რა მეშველება
მე,
გონება შეზღუდულს.

2019



ჩვეულება მრთია უფალი

რადგან ყოველთა სულდგმულთა,

ის არის

ჭირისუფალი,

მიტომ სიკვიდლს და სიცოცხლეს,

სულ მისხალ-მისხალ

არიგებს...

ქვეყნად ერთია უფალი,

სხვა არპყავს

არსთა გამრიგე.

1970



* * *

მთვარე მიმწვარ ღამის ქვაბში,
შავი ღრუბლები
ისევ იმდვრევა...
და უხილავმა ელვის სილა
გააწნა ზეცას,
ისე,
ვით ურჯულოს მხარგრძელმა,
მებმა კი ჩუმად წამოიწყო
სიმღერა,
მაგრამ ვეღარც გააგრძელა.

1962

© სამხრეთი კულტურის მუზეუმი

ଶରୀରମଠ ଏବଂ ମୁକୁଟମଠ

ଅବ୍ଲା ଜାମି ଫାନ୍ଦଗାରା
ପ୍ରଦେଶ ଫା
ପ୍ରଦେଶ ପାରି,
ମାଗରାମ ଶ୍ରୀ ରାମ ପାତ୍ରଗରା,
ଓମ କାନାଶି ପାଦିଲାନୀ,
ପିନ୍ଧେବାଦି ପିରଗ୍ରେଣ୍ଡି –
କୁର୍ରାମିଯ ଫା
ମୁକୁଟମଠି.

1970



ნემიზიდა

ისე, ვითა მეხთამტყორცნელს,
ძალისხმევა მე ზეგსური,
რომ მქონდა,
ალბათ, სურდა
ნემეზიდას,¹
და... სიმართლის ორლესული²
სიკვდილამდე –
მე მეზიდა.

2019

1 ნემეზიდა (ბერძ.) – შურისძიების ქალდმერთი.

2 ორლესული – ორპირი, სატევარი.



სამეგრელოს მეზოთი დალაშვილა

ახლა სამეგრელოა –
ნახანძარ-ნატისუსალი...
და კვლავ, ვითა იესოს
რწმენის ჯვარზე აცმევენ...
განა უცხო: არაბი,
მონგოლი ან
„ჰუსარი“,
„ჩვენი“ სისხლი და ხორცი –
„ქართველი – ვაჟავები“!

1993



სასჯელი

ისე, ვითა სიზიფე,
ჩვენც დმერთებმა დაგგსაჯეს,
რადგან წუთისოფელი –
ბინდისფერი კი არა,
ერთიანად ბინდია...
ასჯერ ნათქვამს ისევე,
ვიმეორებ ათასჯერ:
არსაიდან მოსულნი,
ჩვენ,
არსაით მივდივარო!

1960



ური

ცად ყვაოდნენ ვარსკვლავები,
 ყოფნა იყო საამური –
 (ანფასით და პროფილით)
 და როს წარდგნამ¹
 შთანთქა, ური,²
 მასთან ერთად ჩაიძირა,
 „გონი“ პირველყოფილი,
 მთელი კაცობრიობის.

1993

¹ წარდგნა – ბვ. წ. აღ. 5700-5600 წწ.

² ური – შუმერთა უძველესი, ერთადერთი ქვით ნაგები
 ქალაქის და ცივილიზაციის კერა.

50

აპა,

გავიდა წელი ერგასი,
მაგრამ დღეები აღარ იღევა –
ცრემლის და გლოვის,
წვა და წვალების,
და ველოდები სულისმილევით,
სიკვდილს კი არა,
დღესასწაულს
გარდაცვალების.

1991



სარპინეთი

რკინა ვიყავით გაუტეხელი,
მიტომ ვარქმევდით ადგილს
„სარკინეთს“,
(ამის მოწმეა მცხეთა,
შატბერდი.)
რადგან ვიცოდით რომ სარკინეთთან,
ბედისწერა თუ ბედი,
შაგბედი,
მტერთან ათასჯერ შეგვარკინებდა!

1967



სიჩვენე

დღის ბოლოს ყოფნა
ფიანდაზებად,
არყოფნას გზაზე ყვავილებს უფენს,
ასეა წესი წუთისოფლის
ყველა სტუმართა.
სასაფლაოზე ციგზეცივი
სიჩუმე სუფევს,
ის სიჩუმეა —
გლოვა მდუმართა.

2019



მთვარე,

გარსპოლაგები

მამლები ყივილის კისრებს

იგრძელებენ...

მთვარე კი დილის ჭიშკართან

დაბმული,

(ყოველთვის არადა,

ღამე-ღამით).

სულ სხვა შიშით და

რუდუნებით,

მზესა და სინათლეს დავდავებს...

გარსპოლავთა ლეკვები –

სიშორეს წერტუნებენ...

1964

ორთქმბა ო გასეტი

„გულცივად შეხვდი ყოველ

ქებას, ყველა ძაგლას“.

პუშკინი

იქო კაცი ისეთი —

ორტეგა ო გასეტი!

ის, ვითარცა პუშკინი,

ოქროდთლილი სიტყვების

პირამიდებს აგებდა...

და გულცივად ხვდებოდა,

არა-ამქვეყნიურ

ქებასა და...

გაგებას.

1966

სოფელსა და ზესთასოფელს

გავა ათასწლეულები
და „კოლხური ფსალმუნები“ –
სულსხვანაირ ნათელს
მოჰყენს –
კაცთა მტრობით
გადანისლულ
სოფელსა და...
ზესთასოფელს.

2019

გათხოვა

ღამის ტოტებზე სხედან მამლები
და მთვარის ქვაზე
ხმებს იღესავენ...
სანამ დილა დღის ჩაიცვამს
ტოგოს,
ის გოლგოთიდან –
გარდმოხსნილს მოჰგავს,
რომელიც უნდა აღდგეს
მზესავით...

1966



სარპინეთს და გამინეთს

მცხეთის ძველ სანახებში,
მტკვარს რომ ერთვის
არაგვი,
სარკინეთს თუ ბაგინეთს:
თათარ-მონღოლა-
არაბებს,
სისხლი ვარწყევინეთ და....
ცოცხალ-მკვდარიც
გაგინეთ....

1959



პარიაჲიღები

სურდა,

მაგრამ სატანამ,

ავი ხელი, ვერ დარია დიდებას.

და... მიწამ ცას –

გარსკვლავებით

დახუნძლულს,

ძირს, რომ არა ჩამოვარდეს,

შეუყენა მთები –

კარიადიტებად.*

2016

* კარიადიტები – არტემიდას ქურუმი ქალების ქანდაკებების კოლორის.



ოჰინებეთი¹

ცხენებს ფაფარს უწინავდნენ
 პაწაწინა ხელებით,
 მერე დააჭენებდნენ...
 ბწკენდნენ და ახელებდნენ...
 იყო ერთი ხორხოცი,
 როკვები და აჯები...
 იყვნენ მუჭისხელები,
 „გითუტყევიცანდეს ყვაჯები²“.

1954

¹ ოჭინკეთი (მეგრ.) – ჭინკების სამყოფელი, ადგილია მთიან სამეგრელოში.

² უჩანდათ მსხვილი ქვერები (მეგრ.).



გზა

აღარსაიდან აღარ მოსული,
იქითკენ მოდის გზა –
პირდაპირი,

სავსე ხიფათით,
მზით და გმირობით.

აქეთ –
სოფელი მცირე
ნაპირით,

იქით –
სოფელი
უნაპირობით.

2019



ოლოლი ოლოლს

ჩვენ ლამაზ დღეებს

ვიღაც უჩინო,

სადღაც მიხვეტავს ჩუმად მზის ცოცხით.
და... ხმობს ოლოლი

ოლოლს...

აი,

ეს არის —

ჩვენი სიცოცხლის,

დასაწყისიც და

ბოლოც!

2019



პოეტი-ასტეროიდი

კანონი არის არსთაგამრიგის,
არ საჭიროებს დასტურს
მოწმეთა.
თუნდ,
რომ ათასი წარდგნაც მოვიდეს!
ვერ შეაჩერებს პოეზიის ციდან
მოწყვეტს,
პოეტის,
ვითა ასტეროიდის.*

1998

* ასტეროიდი (ბერძ) – მცირე პლანეტა.



გზა

გადაიაროს ცხრა ზღვა და
ცხრა მთა,
თამარ მეფის თუ
მირაბოს ხიდი,
მაინც ყველა გზა,
მცირე თუ დიდი,
რომში კი არა,
სიკვდილთან მიდის!!!

1969



ისე, ვით ამშვერი

ბორგავს ქამთა მორევი...

შენ,

მას ღდინი უხსენე!

ისე, ვითა ნობილე

და ანდა ამუდსენი,

ეგრისელო!

საკუთარ

ბედსახარ

მინდობილი...

1959



0741 0სპარიოტელი

წუთისოფლის შარაზე –
ბევრი დაბა,
ქალაქი,
გაქრა და გატყიურდა...
აღარ დარჩა იმათგან
ხსოვნის მტკერი იოგი.

ლა...
თუ არა იუდა,
გაიგებდა გერავინ
სახელს –
ისკარიოგისა

1969



დაცვა

ოქროსფრთიანი შენი დღეები –
მზის და სინათლის
სამოსს გაცმევენ,
ვით ცის ბინადარ –
უცხო არსებას.
და... ალბათ ოდეს –
შენი დაცემა,
მწამს, რომ მიწისძვრას
დაემსგავსება.

2019



დეპარტამენტი

მაღალ მთებს და
მწვერვალებს,
ყინვის ცივი ხუნდები
დაადო დეკემბერმა!!!
და... მეც, თუ არ მიმუხტოდა!
ისევ მიგუბრუნდები
„გოეთეს და
კაცრმანს“.

1976



* * *

მიმწუხრი მთვარეს,
სადღაც დასავლით,
აჩენს...
და მალავს,
როგორც ფაკირი.*
და...
მოთმინება მიყვარს მე შენი
ზღვაო,
ქარიშხლის ხელით ნაკერი,
მაგრამ რბილი ვით აბრეშუმი
და კრეპდეშინი.

1970

* ფაკირი (არაბ.) – მოხეტიალე ბერი (ფოკუზნიკი).



შინაგრძლობა

ალბათ, მალე იყივლებს
მესამეჯერ მამალი!...
ჯერ შორსაა ზამთარი,
მაგრამ უცებ აცივდა!!!
ეგრისელო!
ვით ქრისტეს,
ალბათ ჯვარზე გაცმევენ!!!
მერე....
გარდმოგ ხსნიან
გოლოთაზე,
ჯვარცმიდან.

1993



0სეზ გოლგოთი ცა

გაჩენიდან ცისკენ ლოცვად,
მიუყვება ვაზი ხარდანს,
რადგან მშობელ
დედამიწას –
სისხლს, კვლავ წოვენ ვამპირები!!!
და... მე კოლხურ
ზე-ცის გარდა,
ვერ ვხედავ ჩემს –
დამტირებელს.

2019



პროგეთი და მაიმათე

საფლავში ვერ ისვენებენ,
ჩვენ გვგონია მიწის ძვრები.
მკვდრებს,
სიცოცხლის ეშინიათ!!!
სიკვდილს დებენ მეტიმედებს,
მითიური –
ღვიძლი მმები –
პრომეთე და ეპიმეთე.

1978



ლამები

საიდანლაც მოსულები –
ლამეები
გავეშებით,
ისე, როგორც ცალულელა
კამეჩები,
ცის გეება ზღვაში წვანან
და ვარსკვლავებს,
ხამუშ-ხამუშ
იცხონიან....

1962



გელისწვრა

ამქვეყნად გაჩენის წამიდან,
გინაც ჩვენს სიცოცხლეს,
სიკვდილის ცრემლები
ასხურა
და ყოფნა გვიქცია ეწერად!
ცეხდაფეხ დაგვდევს
ბედისწერა, –
ასთვალა,
ასხელა,
ასყურა...

1959



ზესპნელის და ქვესპნელის

სხვისი კი არა,
ხვთის ხელით,
მისგვე ხვთიური
განრიგით,
ცად არს ვარსკვლავთა ფრესკები.
ქვეყნად ერთია —
განრიგით,
ზესკნელისა და
ქვესკნელის.

1964



მთები...

ძელები

ცისპენ ლოცვად იწევენ
მთებიცა და
ქედებიც,
ისე, როგორც სამება
ანდა სვეტიცხოველი,
მაგრამ კაცის გონება,
წინმსწრებია
ყოველის,
როგორც შემოქმედება.

1980



2000

ორი ათასიც გაფრინდა,
მიჰქოის უამთა
კარეტა...
ხელისგულებს იესოს –
უმსჭვალავენ ლურსმნებით!
გარსკვლავები –
უსმენენ
გლოვას...
მგლოვიარეთა.

2001



ტიბეთსა და ინდოეთს

წინაპარ კოლხ-ქურუმთა
 ოჩევითა და
 ლოცვებით,
 ხვთის ძეობა ინდომე!
 და შენც,
 ვითა იქსო,
 ორგზის რწმენით ესტუმრე
 ტიბეტსა და
 ინდოეთს.

1993

გოლჩური ცა

„შეხედე რა ცაა,
ეგაა რაცაა“.
გალაპტიონი
მოყვრად მოსულს კოლხი,
ზღვას,
ფიანდაზად დაუფენს:
(მტერს, ვით რამზეს მეორეს,
ელის უკან მოგურცხვლა!)
ბუზს ვერავინ აუფრენს –
ჩემს კოლხეთს და...
კოლხურ ცას.

1979



ამ ლამაზ ცისქვეშეთში,
გავა ჟამი უთვლელი...
აღგივლენს პარაკლისებს.
საქართველო რუსთველის
მუდამ მოგისაკლისებს.

2014



პელიოსის სხივიდან –
ქვეყნად მიტომ მოვედი –
მტრები გავაგულისო:
მე,
კოლხეთში –
ყოველთვის,
საქართველოს ვგულისხმობ.

1969



ამქვეყნიური ამაობის,
ქვესქნელში არა,
ცაში ამტანი,
შენ ხარ დემონი,
შენ ხარ სატანა,
რადგან სიცოცხლეს –
არ დაემონე!

1999



კოლხეთიდან მოსული...
(შენს მოსვლას სულ შიშობდნენ!)
ვით ზღაპრად ან
არაკად,
პოეზიის ღვთისმშობელს –
შეეწირე ზვარაკად.

2014



მწერი როდესაც ცის ლურჯ წიგნს,
 ზღვისპირ მუხლზე რომ
 გადიშლის,
 ტანს ურუანტელი დამივლის:
 ხელით ვკითხულობ
 ვარსკვლავებს,
 თითქოს შრიფტია ბრაილის.

1983



წარსულიდან გადმომსკდარი
ბოლმა,
წკპარამ ფიქრებს გისევს:
— გაიმარჯვებ! თუ გაბედე!
და... ზღვა შენოან მოგყავს ისევ,
ვითარც მთასთან მუჟამედი.

2001



ბე,

სიშორის წითელ დვინით,
ვარსკვლავებმა დამათვრეს.

არ ყოფილა მთვარე მუნჯი
და სამყაროს –

როგორც ხურჯინს,
ცისქვეშეთში დავათრევ.

1991



შენ სიკვდილი ვერრას გიზამს,
თუ უამმა არ გაგიმეტა,
ათასწლეულების მერე,
ცად დადგები მთვარის სვეტად,
როგორც როდენი და
დერენ.

2003



შენ ხარ მცირე სოფელი

დღით და ღამით მოსილი,
მიწის უარმყოფელი,
ცას რომ წაეპოტინე,
ხმა მოგესმის ნოსელის,
პლატონის და
პლოტინეს:
შენ ხარ „მცირე სოფელი“.

1986



შორეული ზეციდან –

ცვივა დამის ბელტები,

ფერად-ფერი ყარაჩის.

შენ სიცოცხლის ჭურჭელში

გერა და ვერ ეტევი

და...

სიკვდილიც არა ჩანს!!!

2014



დღეთა ფრთების ფათქუნით
ციდან ჩამოფრენილი,
ისევ ცისკენ იურვი,
რადგან უსასრულობა
გელის – ზე-კოსმიური.

2010



თავს იწონებს მთიებში
ფერი შენი ალამის.
და ვით გრიგოლ პალამა,
ზეციურ სილაჟვარდეს –
ჩუმად მიესალამე.

2004



ამ წელისოფლის შარაზე –
რათუნდ მალულად ირბინო,
მაინც თვალს მოგვერავს
არყოფნა
და უმაღლ მოგინადირებს,
ვითარცა ხოხობს –
მიმინო.

2004



გითარც ადრე,
ცა მიწას,
თავზე სეტყვის ქვას აყრის
და ურტყამს მზის უროსაც.
ის მაინც გარდს ახარებს
და არა ავ –
გუროსთავს*.

1989

* გუროსთავი – ყვავილი



დბას და არსად მიღის ბორჯი

ცისქვეშ ჟამი დგას მორჩილი,
 მზე კი ოვალებს აფახულებს
 ისმის დღეთა წყალ-დგაფუნი:
 მიუყვება გზას აფუნი¹,
 უკან მისდევს მას ზარხული²,
 და მორჩილი³ და
 ზოთონჯი⁴,
 მაგრამ არსად მიღის ბორჯი⁵.

1967

1 – აფუნი (მეგრ.) – გაზაფხული

2 – ზარხული (მეგრ.) – ზაფხული

3 – დამორჩილი (მეგრ.) – შემოდგომა


4 – ზოთონჯი (მეგრ.) – ზამთარი

5 – ბორჯი (მეგრ.) – დრო, ჟამი



უფლის სიშორეს ტირიან სანთლები,
ლოცვებში კვლავ ჟონავს
ხმა მომხიბლავი,
რომ სულის სიმშვიდე –
ცას და ცის იქით
ეგულვის –
გონის თვალის.

1992



ნეირაგონ

მწუხარისას,
ციური გალობით,
სამყარო შენ უნდა გაართო...
შენმა სურვილებმა თავი
შეიკავეს.
ცხოვრება მიაგავს მარათონს
და გესმის ფილიპიდის –
„ნენიკამენ!“

1967

* ნენიკამენ (ბერძ.) – ჩავნ გავიმარჯვეთ



ჭეშმარიტად,
დიახ!
მახლას!
ქვეყნად არის ისეთი რამ,
რასაც დიდი სიბრძნე ახლავს:
„თუ არ ნახავ, ვეღარ ირწმენ,
არ ირწმენ და
ვეღარ ნახავ!“

1988



ပါ ဇာ ဒေရာ ၁၀၁

ကြီး ဘုရား ဖြေဆိုတဲ့
ဗျာမီး ဒေရာ ရွှေလှေ,
တံ့ခိုး ဖြေဆိုတဲ့ ရွှေ
လျှော်နှင့် တဲ့
မောက်ပါနောက် အ စ တ အ မ ရ ဂ
ဂုံ¹,
ရွှေ ဒေရာ ၁၀၁².

1987

1 - ရွှေ - မောက်ပါနောက် ရွှေလှေတဲ့ (ပုံးပါနောက် - ပုံးပါနောက်)
2 - ၁၀၁ - မောက်ပါနောက် ရွှေလှေတဲ့ (ပုံးပါနောက် - ပုံးပါနောက်)

ჰერკულესის სიეტები

ჰომეროსის,
პინდარეს,
სული დედამიწაზე
ვერა და ვერ ეტევა
და ცას თავზე ევლება,
მიტომ ხელებს უწვდიან:
ჰერკულესის სვეტები,
ელისეის ველები.

2003



ერთხელ უნდა გაგიჟდე
და მთიები ზეციდან
ერთიანად აყარო,
მერე უამი იშოვო
და ლამაზი სამყარო,
ვით ჭიამ აბრეშუმის*
ტანზე შემოიქსოვო.

2000

* „ვიჟგანანადა“ – ინდური სიბრძნე



მახვილს გავხარ ალესილს –
სინანულის ცრემლის ხმა,
წარსულიდან რომ გესმის
მწარე და საშინელი,
ორი იოანესი:
მინჩხისა და
სინელის.

1988



გითარცა ვარდს შირაზის, –
წარსულ ყამთა სურნელი
ისევ ისე აუდის –
„სინურ მრავალთავსა“ და
„იადიგარ დაუდის“.

1974

* იადიგარ დაუდი— სამედიცინო წიგნი



ისე,
ვითარცა უხორცო,
მსაჯული,
რკინის მკვნეტელი,
არ ეაჯები სამოთხეს,
ღმერთს,
იოანე მინჩხივით,
არც, ვით ანდრია კრეტელი.

1979



ბრუნავს ჟამთა მორევი...

ყოფნაცა და
არყოფნაც,
ერთი არის ორივე –
ბოლოს ასე დაასკვნეს:
სწამდათ „უგუმაობა“ –
იოანე პეტრიწს და
იოანე დამასკელს.

1998

* „უგუმაობა“ – ორ სახევნობა



„მოვისწრაფოთ ლოცვითა სინანულად“

იოანე ოქროპირი

ადამიდან მოყოლილი –

ზურგზე ცოდვის გადევს ბორცვი.

და წალება მისი არ გსურს!

მკურნალ წამალს შესთხოვ ლოცვით:

იოანე ოქროპირს და

ეფრემ ასურს.

1993



როს ცამ ელვას მეხი სტყორცნა,
მენაგემ და
იგრძნო ნავმა,
რომ ეცვალა ფერი ბორანს.
და იმწამსვე უხილავმა
კვლავ „გააპო ზღვაი ორად“.

2004



უფლის რწმენის წყურგილედან
იგავებით დაფარული
და სპეტაკი სიბრძნის წყარო,
ვითარც ადრე, კვლავ ფარულად –
მოდის,
ჩუმად მოწანწერობს...

1957



ქსენოფილები

ზოგი უფლის საგალობელს,

არად აგდებს,

უსმენს მოლებს!!!

ეპა,

ჩემო თეოფილე,

ქართველებშიც რა გამოლევს,

წყალწადებულ

ქსენოფილებს*.

1990



ყველა მეფის თუ იმპერატორის
თავზე ეკიდა ხმალი –
დამოკლეს!

არ არსებობდა მოსვენება მათთვის,
არ ძილი.

სიამოვნება არის ხანმოკლე,
ტანჯვა ყოველთვის
არის ხანგრძლივი.

2003



ခုစွမ်းမြတ်စွာ

ကျော်ကျော် လိမ့်နှုန်း
ကျော်ကျော် လိမ့်နှုန်း

2011



ზოგჯერ ყოფნაც კი

ძალუბს არყოფნას,

პატივგება რომ უცებ

აყაროს!

ზოგჯერ სიკვდილშიც არის მშვენება.

რა ქნას მდიდარმა,

რომ არ ყოფნის მთელი სამყარო,

დარიბ-დატაკს კი –

მცირე

ბევრად თუ ეჩვენება!

2012



08040

მწუხარიდან –
განთიადამდე,
მზეს და სიცოცხლეს
მოველი
და სამოცამდე მივედი.
ამქვეყნად არსი ყოველი
ცოცხლობს –
ხვალის დღის იმედით.

2001



800ა დაცვა ალიგიორს

არ იქნება არ გათენდეს!

და ჩამომდგარ დამის წკვარამს

აზრთა ცეცხლის ალი გიებს.

ჟამთა დენა —

ყველას ზარავს,

გითა დანტე ალიგიერს.

1971



0 ს ტ რ ი ა

სადღაც ათასწლეულთა

იქით,

ვხედავ ძველ კოლხეთს,

პონტოს სანაპიროზე წამოწოლილს

ინახად,

მოთმინებით იობის.

ისტორია ინახავს –

ხსოვნას კაცობრიობის.

2003



რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ზღვის მოქცევა და
მიქცევა!
დღეგანდელი დღე –
წარსულად,
ხვალევე გადაიქცევა.

2001



თავი შენი შეიცან

იქ არ ვიცი,
მაგრამ ცისქვეშ,
ვითა ადრე მეფობს დრონი –
ჩემიცა და
შენიცა.

და ვით გვმოძლვრავს ციცერონი:
"თავი შენი შეიცან!"

1999



გიყვარდა და...
დღეთა ბოლოს,
რომ ვერ გაუძელი ურვას,
გაიფიქრე ტრფობის ტანჯვით
კმაყოფილმა:
სიყვარული ჩემთან სტუმრად
არასოდეს არ ყოფილა!!!

2014



გალილეო გალილეის

თუკი,

ვითა საღესი ქვა,

ცოდნის ლესვით გაიღევი,

მაშინ უფლის კალთა

გფარავს:

წარსულიდან ხმა მოისმის

გალილეო გალილეის.

2013



სიკვდილამდე არ მოკვდე

ილოცო და დღეში შვიდგზის
ჯვარი უნდა გადისახო,
სული რომ არ ამოგხდეს!
მიზნად უნდა დაისახო –
სიკვდილამდე –
არ მოკვდე!

1999




გონ-ბრმათა და ყრუ-მუნჯთა

ცისქევშ ლოცვად დამდგარან
ქართვლის მთები –
ორსული.

ზღვებს თვალები ბრაზისგან
ისევე ჩაულურჯდათ!
კჰა! –

ჟამი მოსულა:
გონ-ბრმათა და ყრუ-მუნჯთა.

1999



ძველ კოლხეთის წარსულიდან
მოფრენილი შენი ლექსი,
ვეღარ იღებს –
კომპლიმენტებს!
თუმცა იგი
თავს დაბრუნავს
სფეროებს და
კონტინენტებს.

2014

შატილსა და ბარისახოს

როს იხილავ დეთისმოსავი,
ვაჟას ჩარგალს,
ვით ოლიმპოს
და შატილს და ბარისახოს
მუხლი უნდა მოიყარო,
ჯვარი სამგზის გადისახო.

1968



უფლის ხები

მე,

ვითარცა კანონმცოდნე,
ვიქნებოდი მოსამართლე,
ანდა მსაჯული.

არ დადგებოდა ცოდვათა მთები.
მაგრამ მე რა ვქნა,
მაცხოვრის ნებით,
პოეზიის კლდეზე გარ მიჯაჭვული.

1975



ორფეოსო – მგრის ძევ!

(ვარიანტი)

ბერძნობა ვინ დაგწამა?!

სიცბიერე ყველამ ზღოს! –

სწორედ გულში ეგ მიძევს!

კოლხთა მოდგმავ! –

პელაზგო,

ორფეოსო ეგრის ძევ!

1974



თაფლი და სანთელი

მღოცელს თაფლის და
სანთელის,
მეტი რა უნდა ენატრა!
ქარიშხალი ვერ ჩააქრობს –
კეთილ აზრის და
სიცოცხლის –
დანთებულ რწმენის კელაპტარს.

2010



အကိုတေသန ပရမည်ကာဖ အခြေစွဲမြတ်သူ

ဝင်ဆောင်ရွက်မှု မာမာတော်မာမာ၊
အကိုတေသန ပရမည်ကာဖ
အခြေစွဲမြတ်သူ
(စျေးကို ကိုယ်သွေး ဖော်သိသော်လည်း)
"တွေ့ အဲ ဒုပ္ပသွေးတော်
အရှင် လျှော်သွေးတော်"
အကိုတေသန ပရမည်ကာဖ

1968



მცირედ გიჩანს სამყარო
და გპლავს მისი
იჭვი, რა!
და რა მოსატანია ლონდონი
და პარიზი.
თვალი ცისკვენ გიჭირავს –
გელის იქ ასპარეზი.

1983



მოსახლეა

არგო იყო —

კოლხთა ნგრევის დასაწყისი!!!

მაღალი ცა

მიწას დასცეს!

ტყუილია! —

არც მედეა,

არც "საწმისი",

ცრუ ბერძნებმა

კოლხთა სული

მოიტაცეს!

1960



ეპეტ! ეპეტ!
ოპო! ოპოო!..

არც ჩანს ზღვარი
და არც მიჯნა....
შენი პოეზიის ციდან –
სულ ბაჯაღლო ცვიგა ოქრო,
დგას ხალხი და....
იწერს პირჯვარს:
– ეპეტ!
პეტ!..
– ოპო!
ოპოო!..

1999

ဣဖုရာဣဆာ

မာც အျိုးပြုသမဂ္ဂ၊ မြန် လျှော့ချွဲ
 စာမံမြတ်လွှာများ ဂါန်းရှုံး၊
 မြတ်စွာ ဝါယာများ ပေါ်လွှာ၊ မြတ်
 မြတ်စွာ မတာ လာ မတေသာ ဖွံ့ဖြိုးရှုံး၊
 ဖွံ့ဖြိုးလာ ဤစွာများ ဖွောက်နှင့် မြတ်စွာ
 လွှာများ လာ
 စာမံမြတ်လွှာ –
 ဖွံ့ဖြိုးလာ ဒေသများ အိမ်များ လွှာများ

2018



მთვარის დროშა

შორ წარსულიდან ჯურხაის ფარის
ხმები მოაქვს მტკვარს
ჩემთან ამ დილით,
თბილისის ზღვა კი გდია,
ვით ცრემლით სავსე ფიალა.
და ვით დიდგორზე –
ცხრა გმირი ძმისა დედის მანდილი,
ცის მაღალ ბორცვზე –
ვარსკვლევბით –
დაცხრილულ მთვარის,
ჩალისფერი დროშა ფრიალებს.

1992



სიბრძნის გზაზე –
 შენმა წლებმა,
 შხამ-სამსალა ბევრგან შესვეს
 და ახლა კი დუნაის პირს –
 ზიხარ....
 ახალს ელი მოტივს!
 ვით, ჰე, მაშინ ჰერმან ჰესე,
 ფრანც კაფკა და ელიოტი.

1981



მფუნარების თემა-დგენი

მონაწერი „კოლსური
ფსალმუნების“ ასტომეულზე.

ექვსი ძმის და ორი დის
დამკარგავმა პოეტმა,
ბერჯერ მოვაშვებინე
მწუხარების თმა-წვერი...
და ბევრნი ვესალბუნე,
ათასობით კი არა,
ათიათასობითაც,
უფლის ლოცვით დაწერილ,
მე, ჩემს –
„კოლხურ ფსალმუნებს“.

2011



080

რწმენით შეტუმბლულ პატარებს,
 პირჯვარს გვსახდნენ დედები,
 რომ ვყოფილვიყავით მაცხოვრის
 ერთგული.
 და ახლა მაღლა მიტომ ვიხედებით
 იქ – ცაში იმედად
 იქსო გვეგულის.

1960



გაზაფხული

ცაა ფერი დარიშხანის
და ხობისწყალს ყულევისგენ –
ძირფესვიან ამოთხრილი –
სინანული მიაქვს ხეთა...
... მერე უცებ მოვარდნილმა –
ზღვას წიხლი ჰკრა
ქარიშხალმა,
კლდოვან ნაპირს მიახეოქა.

1953



მოლიარე ლექსები

ყოფნამ გაზაფხულის და ზაფხულის,

შემოდგომის დღეებიც

მოილია....

შენს კოლხურ ცას –

თვალი ცრემლით ევსება.

ადგებიან და.... აწ სამყაროს მოივლიან,

შენი „მწოლიარე ლექსები¹

1971

¹ საღ-სალამათმა პოეტმა ვაჟა ეგრისელმა ათიათასობით
ლექსი დაწერა მხართემოზე წამოწოლილმა და მათ
„მწოლიარე ლექსები“ უწოდა.



ქაჩაღები

/„გაი მეცნიერები“/

სურთ აიეტის ძველ კოლხეთს,
ცათამდე ამაღლებული,
წაართვან დიდი წარსული
და ლაქარდიან ენებს კი
შურის ქვიშაზე აშრობენ –
ბოროტები და
ავსულნი,
– იქედნეთანის ნაშობნი. (ოთხ.)

1966



ყვავილნარი

გითა მშობლებს – მზეს და

მთვარეს,

ვარსკვლავები არ ყვარობს!!!

მაინც ერთად არიან.

ამიტომაც ზესამყარო

მუდამ ყვავილნარია.

1964



ხილვა: მაილ ზოლა, მაილ დიპისონი

სტრიქონებზე შეფრენილი
სიყვარული –
გასდევს ზოლად
ლექსებს ოქროს რეფრენივით...
და შენ ადარ გიკვირს „ომი!“
ხმა მოგესმის ემილ ზოლას,
ქება –
ემილ დიკინსონის.

1973



გელისჭარა

წამით აღარ მშორდება,
დამდევს,
როგორც იუდა,
და სურს რომ მომაყაროს
მიწა ცრემლში ნაზავი,
ბევრი არა,
ორ-ქაფჩა!

მანამ ყელში გწვდე უნდა,
სანამ ის საყელოთი,
თავისაკენ მომქაჩავს.

2018



გიორგი აკოლინერი

„აუჯანყდა“ საფრანგეთი,
ფრანგულ პოეზიის იმედს –
მგოსან გიორგ აპოლინერს,
მაგრამ მაინც თავის ლექსში,
წერტილ-მძიმე,
წამლადაც ვერ აპოვნინეს.

1959



080

მილიონჯერ ცამ რომ მზე,
მკერდზე გადაიგოროს,
აისს მოყვეს
დაიხი.

შენთვის მუდამ იქნება
პოეზია —
დიდგორი...
და... არასდროს კრწანისი.

2018



70

დღის და დამის უღელში,
შებმულს,
წუთისოფელმა,
შვიდჯერ ათი ბზის სახრე
ზურგზე გადაგიჭირა.
აი, ახლა,
ძილში რომ
ჩუმად არ გაგეპაროს,
აყურადებ სუნთქვას და...
სული კბილით გიჭირავს.

2011



გაკრთა ელვა მწევარივით,
 რომ მოქსმა მნათთა ყეფა,
 მთვარემ გახედა –
 ცას ბეცად.
 და ვით შოთა თამარ მეფის,
 მზე,
 ზღვის წინ მუხლზე დაეცა.

1958



პონტოს აკვით ნარწევებს,
მთვარის ორად მოკეცილ
ძველ კონვერტში ვათავსებ
და მიღეთში ვაგზავნი –
სულ ექსპრომტად
დაწერილ
ლექსებს –
ათი ათასებს...

1998



60შ0

გაზაფხულები შორიდან –
პვლავ მოჰყავთ მერცხლებს
ჭიბჭიკით...
ვით ბრძანებს ნიზამ განჯელი:
ღვთისნაბოძები ნიჭი კი –
ჯილდოცაა და
სასჯელიც.

1977



შოორს მიმავალი ათასწლეულის
გვალს გაჰყვებიან საუძუნენი...
და... შენც როდესაც,

გარდასულთა ლანდებს
შეუვლი,

იტყვიან შენზე:
ზნე ჭირდაო, განუკურნელი,
თავის სამშობლოს სიყვარულით
იყო სნეული.

2017



დღისით – მზის დამწყურველო,
და დამით მთვარის
აკვანო!
სულ ქარის ატაცებულო,
დვთიურო „ტანო,
ტატანო!“
ზღვავ! – ჩემო დელვის ტაძარო!
სამლოცველოვ და
აკვანოვ!

1959



ოდისეაზი და ილიადა

ორი კი არა,
აგერ სამიათასწლეული,
ვითარცა წუთი
მიიღია და...
თითქოსდა გუშინ,
ისე მომესმის
ხმა ოდისევსის,
აქილევსის
და... ილიადას.

1964



შორათი და ჭალადიდი

შემოდგომის ძეგლებივით
ეზო-ეზო დგას ზვინები
და ხეებზე ოქროს თმებით
პვლავ ჰქიდია ჩალა დიდი.
ხობისწყალს კი წაუდია
შუახორგის ბონდის ხიდი.
და გაღმიდან ხელებს გვიქნევს
ეორათი და
ჭალადიდი.

1955



არმარღანი

შენს მწველ ალერსს
მონატრებულს,
დილითა და ამა დამით,
გსურს მიართვა –
ორი პომიდვრით
და კიტრით,
სიყვარულის არმარღანი¹.

1959

¹ არმარღანი (ხპარს.) – ძვირფასი საჩუქარი



ზეგავრცელები

თვითმფრინავისას მიუგავს კუდი
და გაუმაძღარს
აელვებს მუცელს,
რომლითაც ყოველს –
ჰყოფს ნამცეცებად...
ზღვა მოადგება ნაპირს
და უცებ,
მოცელილივით ჩაიკეცება.

1966



0სეპ შუა ხორბის სასაფლაო

დედ-მამის გარდა

მე იქ მიწევს

ექვსი ძმა და კიდევ

და – ორი.

და ადარველი ქვეყნად სხვა რისხვას!

მე თბილისში ვარ...

მაგრამ შორი-დან

მიხმობს უცხო და ცივი

ზარის ხმა...

2019



ეპილოგი

გამბობ ხმამაღლა,
არაფერს ვმალავ!
(ო, ალბათ ესეც ჩემი ჟინია!)
ისე,
ვითარცა ვაჟას და
გალას,
„მე არც წარსულის,
არც მომავლის
არ მეშინია!“

2019



ზღვები

თოლიები –

საკუთარ თავს დაჰკიფიან,
რადგან არავინ არაპყავთ
მოძმე,
ცა დედამიწას მნათებს არისხებს.

ზღვები –

დრუბლების
იცვამენ ძონძებს,
რომ შეაცოდონ თავი
ქარიშხლებს.

1964



ଲୀନକିମଣି ରା ପଞ୍ଚମୀତଥିବରୀ

ରାତ୍ରିରେ ଧିନି ଲୁହିନୀ ପ୍ରୟାଣ,
ରାତ୍ରି ଆଗ୍ରହିନାତ ବ୍ୟାଧିସମ୍ଭାବିତ –
ଫୁଲ ଓ ଫୁଲକା
ଓ ଅନ୍ତରୀଳରେ,
ମହାଶୂନ୍ୟରେ ମୁଦାମ ପିରିବେ;
ଲୋକଜୀମି ଓ
ଶାନ୍ତିରେ,
ଖଣ୍ଡଗୁରୀ ଓ
ପଞ୍ଚମୀତଥିବରୀ.

1962



გონი

ჯერ შეუქმნელ –
ბნელ სამყაროს,
ვინც,
ფარვანად გარს უვლიდა,
ის პირველი შენ ხარ გონი,
ციურ მთებით გადმოსული,
მომავლის –
დიდ წარსულიდან.

2019



100-ტომეული

(მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“
ასტომეულზე.)

შენი მტერი და ორგული,
ყველა ბნელში შეისრისა...
შენ კი „წერა“ არ გბეზრდება!
და შენ –
შენი მიგეზღვება,
ვით კეისარს
კეისრისა.

2019



როგორც პორაციუსი

ათასწლეულების მერე,
უფალი თუ მომცემს ნებას,
ჩემს დარჩენილ დღეთა
ლაშქარს,
„ფიქრთა გორას“ მიუსევ,
და გუმდერებ
„სიყვარულის ხელოვნებას“,
როგორც პორაციუსი¹.

2009

¹ პორაციუსი – რომაელი პოეტი



განხტანდ ბორბასალი,
რიჩარდ ლომბული

ზღაპარი და ლეგენდა,
ორ დიდ მეფეს
რაც გადახდა!
რა გამოლევს ქვეყნის ორგულს!
(ერთნაირი ერგოთ ბედი)
საქართველოს მეფე –
ვახტანგს¹,
ინგლისისას – რიჩარდ
ლომბულს²

1973

¹ ვახტანგ გორგასალი (V ს.).

² რიჩარდ ლომბული (XII ს.) ორივე მტრის ისრით დაკოდილი გარდაიცვალა.



ტრუბადურები

პროვინციის ბნელ ქუჩებში,
ღამე ეხეტებოდნენ...
თხავდნენ ლექსებს მშვენიერს.
(თუმცა ჰქონდათ ცხოვრება,
მუდამ აუტანელი,
კურტიზანელ სიყვარულს,
აღმერთებდა მაკეტი,
გილიომ აკვატანელი¹.

1966

¹ „ცნობილია 600-მდე ტრუბადურის სახელი მათგან შემორჩენილია 400 პოეტის 2500 ნაწარმოები.



15 მაისი

რადგან მთვარე,
მზის ტოლია,
ის სამყაროს
არის ნიშა.
დრო მოვა და ისტორია,
საუკუნის იმ ლამაზ დღეს
15 მაისს ჩაინიშნავს.

1959



საქართველოს ფერთა ცის

ეს სამყარო ჩემია,
მთებითა და
ბორცვებით,
მისი ციხე-ტაძრებით –
მცხეთითა და
სამებით,
კუმურდოთ და ბერთათი,
და მარადის ვიქნები
მუხლმოყრილი მლოცველი,
საქართველოს მიწის და
საქართველოს ფერთაცის.

1975



608073

რა დაგამშვიდებს,
 როცა ფეხდაფეხ,
 ყოფნას ნიადაგ დასდევს
 არყოფნა,
 ლამაზ სიცოცხლეს ტანჯვა და
 ურვა.
 და მიწა ელის უცხო პლანეტას.
 როცა გული გრძნობს
 სამყაროს
 ბრუნვას
 და ცად აფრენას ოკეანეთა.


1969



ხევსური ქალი

მადლობას ვეტყვი
ადგილის დედას,
და იმ ხევსურ ქალს დავეჩოქები,
რომელიც თავის
გულისწორმხედარს
ცნობდა ხმაზე –
ცხენის ფლოქვების.

1961



ცვალებადია საჭუროო

„ვამ, ხოფელო რაშინგანხარ,
რას გვაძრუნებ, რაზნე გჭირხა.“
რუხთაველი

ცვალებადია საწუროო,
არსად,
არასდორს ოკდება!
და ყოველივე იცვლება...
მაგრამ...
შენ აღარ
მოკვდები,
შენ...

მხლოდ გარადაიცვლები.

2019

ზეპსი

ოვით უკვდავი,
უკვდავებას,
შვილებისთვის ვერ იმეტებს!!!
და ვითომცდა მამას (ზეპსის¹)
მათი მოთქმა აღარ ესმის!!!
უჩივიან სიკვდილს ძმები –
პრომეთე და
ეპიმეთე.

1959

¹ ზეპსი (ბერძ.) – უზენაესი დმეტო.



მუხა პარას ჭალაში

ათასწლეულების მერე,
 მოსულა და დროს –
 იაზონს,
 (ვითარც მაშინ იქ – არესის).
 გაუძარცავს პარას ჭალა.
 აქ – მუხაზე საწმისივთ
 არ კიდია –
 ახლა ჩალაც.

1029



ხილვა – მედეა, აზსირტე, აიეტი

ისე ახლოს მოისმის ზარის რეკვა

ჰეკატეს,

თითქოს ათასწლეულთა გზები არ გაელიოს.

ნათლად ვხედავ –

მედეას,

აფსირტეს და აიეტს,

ფაზისთან ვით ელიან –

მზის ღვთაება ჰელიოსს.

1966



თოლიერის ვოთლები

პორიზონტს მიღმა,
 დასალიერთან,
 მოჩანან მთები –
 დათოვლილები
 და მათ სიბერე არ აშფოთებენ.
 ხდება,
 თითქოს ტყეა შემოდგომის
 და თოლიების –
 ცვივა ფოთლები.

1971



თარი, თური

ჩუმად უმზერს თარიც¹,
თურიც²,
რომ მტრისგან თუ „მოყვასისგან“,
როგორ მოდის შარიშურით,
თეთრი არა,
შავი შური.

1989

¹² წარმართ კოლხთა (ქართველთა) დეთაებები (წარმართ კოლხთა პანთეონში).



შურის შავი ფარდები

ეფარება შენს იმედს,
მერამდენედ, ვინ იცის,
შურის შავი ფარდები.
მაინც, შენი მკრთალი ცის
ელი გალაჟვარდებას.

1998



* * *

მზე რომ დატოვებს თავის საუფლოს

დღე,

დამეს უცებ დაემდურება.

მიმწუხრია და ვარსკვლავები

ცისკარს აღებენ.

ზარბაზნებივით, ეზოებში დგანან ურმები

და სოფელს ყელში გახირვია

ყეფა ძალლების.

1967



განთიაზი სოფელში

თენდება...

ვიღაც უძახის მეზობელს –

ოფეე...

ოფელი!

ქათმები გამოსვლას ერთმანეთს ასწრებენ:

და ცაზე კიდია სოფელი,

მამლების ყივილის –

ბაწრებით.

1978



აჩხურის და ამონის

როგორ შვენის ეგვიპტეს
ქუდი —
პირამიდების
და სიმაღლე, რომელიც
ცისიერთან ამონებს.
და... იქ სუფებს დიდება:
აჩხურის¹ და ამონის².

1972

¹² ეგვიპტური ღმერთები.



* * *

უსამანო სივრცეებში ფრთების
გაშლისთვის
იცი, უფალი არ გაგიწყრება
და რად ჰგონიათ აღმაფრენა
შენი დამთავრდა.
პირიქით,
ჩემო, ახლა იწყება...
მხოლოდ იმ ერთმა,
ღმერთმა იცის გზები მართალთა.

2002



* * *

გასცემი კოლხეთს აიეტივით,
— აქ არის შენი ფუძე და ნერჩი.
და თვალს აყოლებ
დრო — ჟამის ბრუნვას,
რადგან შენ იგი არაფერს გერჩის,
ვითარცა მზის შვილს,
ვით ლომს და უნასს.

1989



* * *

ଅତାଶ ଜାର-ପ୍ରେସ୍‌ବ୍ୟାଙ୍ଗ ଧାମଗ୍ରଲିଙ୍ଗ,
ପଥବିଲିଙ୍ଗ କରିବିଲିଙ୍ଗ ସିଯଗାରିଙ୍ଗିଲିଙ୍ଗ,
ରହିବା ମିଳିଲାଗ୍ରଲିଙ୍ଗିଲିଙ୍ଗ ଧେମି,
ମାନିବ ଖଲାର, ଧେଦାଶାଖିତ,
ଧର୍ମପାତ୍ର ଧର୍ମପାତ୍ର,
ରହିବା ଧର୍ମପାତ୍ର.

1986



* * *

ვადიდებ და ვაღმერთებ,
ბერძნულსა და
რომაულ,
ე.ი. ანტიკურ:
აზროვნებას პოეტურს,
წვდომას მათემატიკურს.

1980



ზეთი, ნათი და ალიბა

შორეულ წარსულში დამსხდარნი,
 ძველ კოლხურ,
 რომ გაიგებენ,
 მთვლემარნი, წამს ყურებს დაცქვეტენ:
 ხეთი¹,
 ხათი² და ალიბი³,
 მაია⁴, ინკი⁵ და
 აცქეტი⁶.

1968

¹²³⁴⁵⁶ შორეული კოლხური “ქართველთა” მონათქსავე ტომები.



ბატი და გედი

ათასი წელი შევცერით
ცას ლამაზსა და
გულკეთილს,
რომელიც ნიღაბს არ იხდის,
ქნაჭა გედს,
ბატზე უპეტესს,
მიწა კი არა,
წყალი ხდის.


1986



* * *

ზოგ ცოდვილს მდუღარე კუპრი, და
ზოგსაც სამოთხე მიეღის.
მსურს იყოს უფლისგან
დაცული:
ჩემს ზემოთ ცა – ვარსკვლავიერი
და ჩემში –
სიამაყე კაცური.

1993



მე ადამის

მოვიდა...

და აღარ იცოდა,
არც არითმეტიკა...
და აღარც რიცხვები.
და ძე ადამის – ცას შეციცინებდა,
და...
თვლას სწავლობდა მურიცხებით*.

1974

* მურიცხეი “მეგრ. | – გარსკვლავი.



სული ბეჭირის და ბიძირის

წარსულის ქარიშხელებს მოყოლილი,
პატარა ტალღა,
ვით ამფორა –
აღსავსე სულით ბეჭირის
და ბიძირის
მოადგა ნაპირს და ეამბორა,
გახედა კოლხეთს და...
ჩაიძირა.



ამინდის შეცარი შეცვლა ზღვაზე

სახეფერმკრთალი და ნაღვლიანი
ელვა სშირ-სშირად
მთვარის სარკეში იყურება
და იწნავს ნაწნავებს.
ნეტავი ამ ზღვას რა აღრიალებს,
ანდა ეს ქარი
რას დაწანწალებს.

1987



რიცხვები

ნანა დუმბაძეს

ვარსკვლავთა ზოდებით –
ცას უფლის ანაგებს,
ანგრევენ და თავებს ირცხვენენ.
სამყაროს განაგებს –
მათემატიკური რიცხვები.

1980



* * *

მზის და მთვარის თვალება
ცა დაგყურებს მუნჯივით
და გაბრმავებს სინაოლე:
მოგიგდია სამყარო ზურგზე,
როგორც ხურჯინი
და წყვდიადში კი არა,
სამოთხეში მიათრევ.

1999



* * *

აღარსად ჩანდნენ ალბატროსები,
 გემბანიდან კი სევდანარევი,
 ქარებს მოჰქონდათ ხმა
 სიმღერების –
 მებადურების და მატროსების.
 და ლურჯ პორიზონტს როცა
 გავხედე,
 ვნახე: ზღვა ზვირთთა მუშტს
 მიღერებდა,
 განრისხებული,
 ბლუ და თავხედი.

1986



უფლის ცამარი ზერილი

იდუმალებით მოცული,

ქარებს ჩამოაქვთ ფიფქებად,

უფლის ნაწერი წერილი:

— ბოლოს სულ ერთად იქნებით

მიწაზე —

ჯვარდაწერილნი.

1996



* * *

ღამე ნისლებს მიაბოლებს
და ხეობებს ასდით კვამლი
და რიონის ჭალებს ავლებს.
იღვიძებენ მთები ხვამლის
და სიზმრების ცვიგა ხავსი.
ცას აცვია მთვარის ხამლი,
წუმად იკრავს ელვის თასმებს.

1971



ნალეზრი პოეზიის პითხვისას

„ოქტომბერის მიღის წყალზედა“

ხალხური

ისმის დევთა ღრიალი და,
ეშმაკების ხმა და
როკვა.

წიგნს ჩავცემო...

და ვით ელდას, –
ტანწერწეტა თებროს გხედავ,
მხარზე სავსე უდგას კოკა.

1967



* * *

უნდა მოედოს მთათა მწვერვალებს,
ტაიგებსა და გაშლილ
ტრამალებს,
ჩვენი საქმენი – ზღაპრულ ამბებად,
სანამდე ჩვენი შავი სამარე,
ხეთა ფესვებით დაილამბება.

2007



გაგილონი – ძვ.წ. 529 წლის

5-6 ოქტომბერი

თავს სწირავდნენ მეფისთვის¹,

რადგანაც მათ იცოდნენ,

იყვნენ ჟამთა მდგმურები.

ბაბილონი გამოხვეტეს

ცოცხით –

განადგურების².

1963

¹ კიროსი – სპარსეთის მეფე

² ესაია წინასწარმეტყველი – 14:22,23. (VIII ს.ჩვ.წ.)



ACADEMY

* * *

ისე, როგორც
წინანდალში,
სურნელი სცემს
ძველ კოლხური,
ვარნას¹ ვარდებსა და იებს:
ბრაჟმანებს და
ქაშატრიებს,
შუდრებს და გაიშიებს.

1983

¹ ვარნა (სანსკრ.) – ძველ ინდოეთში: საერთო სახელწოდება ოთხი საზოგადოებრივი ჯგუფისა:



ზოლვა: სამოთხის ხე

ბიბლიაში: ზეცას,
მთვარის –
თეთრი უჩანს საყელო.
ვხედავ ევას მომტირალს.
იმზირება უსახელო,
სამოთხის ხის ტოტიდან.

1961



* * *

შორეულ დამიდან მოსული —
დღეები მიღის და
მიცოცავს,
რასაც სილამაზე თოვს ფერებად.
ნუ დაიტრაპახებს
სიცოცხლე,
სიკვდილმა რომ იცის მოფერება.

2008



გარსპოლავების სერობა

ღამეები, ვით ბერები,
დღის შიშით —
ერთმანეთს მისდევს...
ბნელში ჭედს ვიღაცა ლურსმნებს.
შუაში ზის მოვარე,
ვით ქრისტე,
და ვარსკვლავთ სერობას უსმენს.

1964



* * *

საქართველოს ციონ გადახურული –
ლექსია შენი
სახლი და ფუძე,
ზედ გაკრულია სიტყვა აბრებად.
სიცოცხლე რაა,
რომ მოგვდე უცებ,
ვიცი,
სიკვდილიც დაეხარბებათ!!

2008



გარჩვების გადაფრთხი

გადაუფრინეს ტბას პალიასტომის,
მიწყდა ყაყანი
დამფრთხალ გარხვების.
მშიერ თვალებით ზღვა იმზირება.
ქარები დამის ტოტებს
არხევენ,
და წყალში ცვივა ვარსკვლავები
მზესუმზირებად.

2004



გაბილონის გოდოლი

უფლის ნახვა სურთ და...

ბაბილონის –

ცამდე აღმართულ გოდოლს
აგებენ –

და კოლხური ისმის ჰანგები.

მოფრინდებიან ჩემთან

ფიქრთა ფარშევანგები

და აიეტის დიდ წარსულში

გამიტყუებენ.

1972



* * *

ცნობადის ხეთა ფესვები –
ძირიან ამოგითხარეს,
„მოკეთეც“ –
ახლა თრგულობს!!
რით გაგაცოცხლო მითხარი,
კოლხეთო! –
წარსულ მოკლულო!!

1963



* * *

მეტეორების გამოქროლება,
 მშიშარ სივრცეებს ისევ
 აშინებს.
 და დედამიწა დამეებით ისევ
 ივსება...
 ცა არხეინად მიწას დაჟყურებს:
 ყოფნა,
 არყოფნის ქუსლით
 როდის გაისრისება.

1970



* * *

საქართველო –

ჯვარს გაკრული არის იქსო
და მის კვართს ჩუმად ინაწილებენ,
ხმის გამცემი კი არ ჩანს არავინ.
და ჩვენი „ძმები“,
ჩვენ – ძირ ქართველებს,
დიდ ისტორიას ჩუმად გვპარავენ
და მასთან ერთად წარსულს
გვართმევენ.

1964



ს ი მ ა ბ ი

მწვანე სინათლეს აშრიალებენ,
მზიოთ და სიცოცხლით
თვალი ეგსებათ,
დედამიწაზე მაინც ვერ ძლებენ:
ქვესკნელს ჩადიან ხეთა – ფესვები,
კენწეროები –
ცას დაეძებენ.

2001



* * *

არესისა და პარას ჭალაში,
ოქროს ბლავილი არ ისმის
ვერძის.

მშობლიურ ცაზე მთვარეც მიმქრალა.
ღმერთო! —

მიმყოფე სამშობლოს ბედზე,
ყველა ქართველი გულმტკივანი
და მოფიქრალი.

1989



* * *

წამი რაა,

ისიც შუაზე გაგიყო,

წუთისოფელს თუმცა დიდხანს

ედავე.

მაგრამ ეხლა თუ შენი ხმა ისმინა,

გარსკვლავები ჩაამტვრევენ

ცის მინას

და მოწყალე თვალით ჩამოგხედავენ.

1997



* * *

ქუბოებია —
ლამეები,
დღეები გულის ბოგინია...
ზეცა —
სარტყელია გაღებული.
ცხოვრება —
პატარა ბოგირია,
სიკვდილ-სიცოცხლეს შუა —
გადებული.

1992



რეა-პიგენა

100 წლის პოეტ მარიკა ბარათაშვილს

გაიღია წვეთ-წვეთად
ეს ერთი ასწლეული
და მეორეს მიბეჭდავ –
ცისკენ თავაწეული –
ქართველთ რეა-კიბელა*.

2008

* რეა-კიბელა-პელაზგურ-კოლხური დედალვოაება.



* * *

ვიღებ მითებს და ლეგენდებს,
ათასწლეულების სივრციდან
და ვძერტყავ,
ვით გობელენებს
ანდა მტკერწაყრილ ფართალს.
და ვით ბერი ზოსიმე
ვჭვრებ: ახალ ნინოს
და დედოფალ ჰელენეს,
ვითარც მარიამს და
მართას.

1989



რუდოლფ შტაინერი

„...ადამიანებმა სულიერ სამყაროსთან
კავშირი, დაახლოებით, ოთხიათასი
წლის წინ დაჰკარგება...“
შტაინერი.

ბიბლიიდან მოსული,
სხვა ჟინით,
სხვა იქრით
ის ერთია...
სხვა ყველა თითქოს მისი
„მტერია“.

და რუდოლფ შტაინერი,
იგავებში დაეძებს:
მიძინებულ ლაზარეს...
„ვარდის და ჯვრის მისტერიას.“



* * *

სიცოცხლე,

და ან სიკვდილი,

აქ,

ერთი რჩება ორიდან.

ვისმენ ვარსკვლავთა გალობას.

მეღიმილება –

შორიდან,

წარმავლის წარუგალობა.

2007



მზის და ოქროს საწმისის

აღარ უჩანს სიცოცხლეს
სასრული და საწყისი..
აბა, ყოფნა რა არის?!
მზის და ოქროს საწმისის
და გარეშე გრაალის.

1971



ტაბიძის და ბრაელის

წარსულიდან მოსული
მტკვარი,
როგორც
მეტეხთან,
დოო-ჟამი სვლას ანელებს:
როცა ჩანგის ხმა ესმის –
ტაბიძის და
გრანელის.

1986



ბისმობს ზეა პოსმიური

ანგელოზის ფრთიანი
სული ცისკენ იურვის
(ალბათ ქსეც სენია).
გიხმობს ხმა კოსმიური,
რომლის მსგავსი არავის,
არასოდეს სმენია.

2007



გასმის შორი ძახილი

დღე და ღამის მიღმიღან
გესმის შორი ძახილი,
რომელიც არს ერთად კრებს,
ალთა-ბალთას წვეულებს.
შენ კი ზიხარ ღრუბლებში...
თითხე –
ოქროს ძაფივით,
იხვევ ათასწლეულებს.

1976



სამყარო

ხალხი!?

სხვა არის, —
სკა ახალნაყარი, —
ცა, რომ ოქროს სხივს აღვრის.
ეს გათახსირებული სამყარო,
მზის ერთ ამოსვლად,
არ ღირს!

1963



მპვდართა ქალაქი

ლოდზე თავს იწონებს წარწერა:

„აქ განისვენებს მალაქია.“

უამთა ოკეანეში

ნარწევი —

სასაფლაო —

მკვდართა ქალაქია.

1967



* * *

მოვიდნენ და მთიებმა,
წვიმით მოყაყანე ცა,
უეცრად დაამუნჯეს.
სურს რომ გამოაჩინოს
დამემ,
თავის საუნჯე.

1973



* * *

ამაქვეყნად მოსვლის დღიდან,
იღვრებიან ბრძენი ოფლად,
მაგრამ მაინც,
ვით ტყუპისცალს
ვეღარ ყოფენ:
ყოფნასა და აქ არყოფნას,
სოფელსა და ზესთასოფელს.

1993



ჩვენი გულები

ყელმოღერილი,
გაზაფხულის თეთრი ბილიკით –
მოდის აპრილი ქვის
გამხეოჭავი
და სიმწვანეს და სითბოს გაყვირის...
იქ –
სიყმაწვილის წერილებში
ისევ ფეოჭავენ,
ჩვენი გულები ისარგაყრილი.

1959



* * *

ვითარცა ადრე,
სიჭაბუქისას,
ცას,
მთვარით სავსე ჯამით
დავლევდი,
დავაყენებდი ფეხზე სამყაროს.
და, აი,
ეხლაც, ძველ ჭიშკარში
აღმოსავლეთის,
დილას სურს,
მზე რომ შემოაპაროს.

1969



გზა უჩინარი

დასერილია დედამიწა გზებით
ურიცხვით,
ზოგი ფერია ცისკრის მდინარის
და ზოგი კი მწუხერის ნახშირის.
მაგრამ სულ სხვაა
გზა უჩინარი,
დიდებასთან რომ გვაკავშირებს.

2002



* * *

ვით ცეცხლწაკიდებულ სანთლებს,
მრევლს თვალები
უჩანთ სველი.
და ნურავინ გაიოცებს,
რომ ღვთისმოსავსა და
მლოცველს,
უფლის საბრძანისი ელის.

1978



* * *

მჭმუნვარე მოვარე,
 ვით სპასალარი,
 სადღაც მთიების მიღის
 ამალით,
 თითქოს ბრძოლის ველს იყოს
 წვეული.

ცაზე გადიფრენს ელვა ფრთამალი,
 დამჟ,
 დღე არის თვალახვეული.

1968



* * *

რომ გდევს თოვლის სისპეტაკე,
მით არ იხდი თეთრ
სამოსელს,
ცისკენ ელვის ბილიკს მისდევ...
— რჯულად რჯული მოგცა მოსებ
და რწმენა კი თვითონ
ქრისტემ.

1972



* * *

არ ჩანს ხიდი მირაბოს!

წვენსკენ მოერეკება

ფიფქთა პეპლებს


მისტრალი.*

და ცის მზერაც ცივია,

როგორც ნამინისტრალის.

1969

* მისტრალი (ფრანგ.) წრდილოვანის ცივი და მშრალი ქარი სამხრეთ საქართველოში.



* * *

ბიბლიური კოლხეთი –
ჩანს ვარსკვლავთა
ფრესკებით.
აგერ ბარათაშვილის ხიდი,
როგორც მირაბოს.
და აქედან იწყება „ხვრელი“
ზესკნელ-ქვესკნელის,
ძებნად „ოქროს საჭმისის“
კოლხურ „შავი გვირაბით“.

1983



თეორი გარდი

დიდიხნის წინათ მიწამიყრილებს,
სიკვდილია,
ჩვენს ძვლებსაც რომ აალებს,
მის გარეშე,
სამყარო წყვდიადია.
თეორი გარდი –
თასი არის გრაალის,
საიდანაც სურნელებად
ლოცვები ცად ადიან.

1997



მთვარის დარბაზში ზის არხეინად,
კარს ვარსკვლავები უდგას
მცველებად –
ბეგრის მომსწრე უამს,
და ხმას არ იღებს,
თუმც გარეთ წლები დაფიტყების ზარს
არისხებენ...
და ნათლად გხედავ:
ჩემს აქ ყოფნას
რომ ათარიღებს,
ჩემი კეთილი ჟამთაღმრიცხველი.

1995



უდალატოს და მარად უტყუარს,
 მივაყურადოთ უნდა
 გულის ხმას,
 გადაშლილია სივრცე საფრენი
 და ზეცაც ჰყვავის სიხარულისფრად,
 ფრთა,
 ფრთა აკლია ჩვენს სიყვარულს,
 სხვა არაფერი.

1987



სიმწვანით ოდნავ შებუმბლულ კვირტებს,
სითბოს უმატებს –
მოფრენილი
ჭიპჭიპი მერცხლის,
ცის შუაკერაზე ანთია ცეცხლი
და ბუჩქებს ასდით იქნის ბოლი.

1967



სამშობლო იყო ჩემი ოცნება...

მამულო ჩემო!

დღე და მოსწრება,

შენს ლაჟვარდოვან ცაზე ვკიდებდი –

ჩემი სიმღერის ფერად ირისებს,

და ფიქრი –

აზრის პერგამენტებზე,

სიყვარულის ოქროს ძაფით დავაგვირისტე.

1981



ცას ტოტზე მცოცავ შედამების
ვარდისფერ ბინდში,
ვითარც ქალწული, აშრიალებს
აბრეშუმს ჩალა,
პირზე აშრება დღეს
იყლისის დაღლა და ოფლი,
ხოხბის ყივილი ლერწმოვანში
მიმალა ჭალამ,
შესანსლა დამემ ხმაური სოფლის.

1959



შველას ითხოვდა...

ზვირთთა ხელებს

ზეცას უწვდიდა,

მაგრამ ღრუბლებმა დაიგვიანეს

(ცაში ღრუბლები ბლომად ეყარა),

და რომ მოვიდნენ,

ზღვა არ ჩანდა თვალცრემლიანი,

ქართა მეუფეს მოეტაცა...

და წაეყვანა...

1961



300 ბილგამეშა

ისევ მომესმის გრგვინვა – გრიალი,
კლდეს მიჯაჭვული ამირანი
თითქოს აეშვა,
სული ვერ უძლებს ტკივილს საშინელს,
რადგან უეცრად,
ენქიდუში,
ვით გილგამეშმა,
ჩემში სიკვდილი აღმოვაჩინე.

1966



უცემ განახვეს ღამის კარები
და ვარსკვლავები
ყვითელ ჩალმებით,
შემოეხვივნენ მთვარეს, ვით ყაენს,
მერე გალობით
იასამნების,
ეს გაზაფხული ჩამოიყვანეს.

1987



ჩემი პავშვობა იქ არის

პობოქარ ზღვებთან კი არა,
ჩემი ბავშვობა იქ იწყება და
იქ არის
და მოგონებით თბება,
სადაც ნაფლოქარი და ნაჩლიქარი
ყრია...
პატარა ტბებად.

1979



აბრიალებს მზის ცეცხლიან თვალებს,
დღის სიცხე და ძლიერ შორით,
მიწას გაფოფრილ კრუხივით აზის,
გაშლილი ფრთების ეტლში ზის ქორი
და ცის მინდორზე
მხტომ წრებებს ხაზავს.

1976



ქვეყნად

არავის ეცოდინება,
რომ მიტოვებულ
პარას ჭალაში,
სადაც ყვავილობს ველი – ზაფრანის,
იქ წიფელაზე –
ობლად მჯდარი
შაშვის გალობა,
რომ არის ჩემი წმინდა საფლავი.

1995



ნაპირს მოადგა და ხელი დამიქნია,
 სულ სხვა წუხილით
 და გოდებით
 (ახლა გაზაფხულის წენარი საღამოა),
 და, მე ზღვის მოქცევას
 იხევ ველოდები,
 მაგრამ ლოდინი ვიცი ამაოა.

1987



ციცინათება

წვეთი სინათლის პატარა შუშას
ამსხვრევს,

ამთელებს,

ამსხვრევს,

ამთელებს...

და შუაღამით, თავის ამალით,

სოფლის შუკაში გზას მიიკვლევს

ციცინათება —

ცისკრის ვარსკვლავის

შორეული შთამომავალი.

1956



ჩემი ფაზისი

დღისით მზით,
 დამით თუთარჩელათი,
 ცა მიაცილებს უძვირფასები,
 ლოდინით დაღლილ ზღვის ნაპირამდე,
 რადგან ზაფხულში
 ფეხმძიმდება
 ჩემი ფაზისი
 და... მუცელი წვდება ცხვირამდე.

1956



საუკუნემ მეოცემ,
მეხთა-ტეხის გარეშე,
პოეზიის ცის ტოტი
უეცრად დაარხია,
და სტრიქონთა შორის –
გაჭრილ სამარეში,
არაგინ არ იცის,
რა განძი მარხია.

1991



გადმონადენი ათასწლეულებს,
სიკვდილ-სიცოცხლის
პლდეს ეხეთქება,
ერთი ზათქით და დავიდარაბით,
და წარსულიდან ქართუს,
ხეთების, -
მოქუხეს სიმღერის თეთრი არაგვი.

1994



თელა და იფანი

ამ ხელბს,

ზღვამ სული შთაბერა,

და ცამ დაიფარა მზის ფარით

(მათ, ბუმბერაზები სიცოცხლეს უშლიდა),

ახლა

კი,

მითებში ცხოვრობენ გულმშვიდად,

ლამაზი ცოლ-ქმარი –

თელა და იფანი.

1972



ზეიმობდა ბუნება...

და ხარობდა მთა-ველი –

გაზაფხულის შემოსვლას,

ცას –

მზის სხივი ემოსა,

როგორც ოქროს კრაველი.

1980



ცისა და მიწის დასალიერთან,
ელვის ვარდისფერ თოკით
დაბორკილ
საავდრო ღრუბლებს ქარები აშლის,
შიშველი ტალღა –
ნაპირისკენ ისე გამორბის,
თითქოს-და დედას გამოექცა პატარა ბავშვი.

1977



ჰყონდიდი

ადიდდა და ხობისწყალი,
დაეძგერა კვლავ ფონს,
დიდი,
არც საკეტი,
არც ურდული,
სოფლის ბოლოს დგას ჭყონდიდი,
ზამთრისაგან გაქურდული.

1965



სარჩევი

შესავალის მაგიერ.....	5
ნემსი	25
თვალები	26
როგორც დიონისე	27
დალტონი	28
სამყარო	29
* * * ვარსკვლავებით ცა ისეა	30
ერიდუ და უმა, ქიში	31
ხომლის მთა	32
ხსოვნა	33
სასრულობის – უსასრულობა	34
უცხო სტუმარი	35
* * * უკვდავების გზების პოვნას	36
შვილო რეა-კიბელას	37
შუმერები	38
ის მთები და ეს ზრუდე	39
ქვეყნად ერთია უფალი	40
* * * მთვარე მიმწვარ დამის ქვაბში	41
ქურუმი და მსახური	42
ნემეზიდა	43
სამეგრელოს მეხუთე დალაშქვრა	44

სასჯელი	45
ური	46
50	47
სარკინეთი	48
სიჩუმე	49
მთვარე, ვარსკვლავები	50
ორტება ი გასეტი	51
სოფელსა და ზესთასოფელს	52
გაოქნება	53
სარკინეთს და ბაგინეთს	54
კარიატიდები	55
ოჭინკეთი	56
გზა	57
ოლოლი ოლოლს	58
პოეტი-ასტეროიდი	59
გზა	60
ისე, ვით ამუნდსენი	61
იუდა ისპარიოტელი	62
დაცემა	63
დეკემბერი	64
* * * მიმწუხერი მთვარეს	65
წინაგრძნობა	66
ისევ კოლხური ცა	67

პრომეთე და ეპიმეთე.....	68
ლამეები.....	69
ბედისწერა.....	70
ზესკნელის და ქვესკნელის	71
მოები... ქედები	72
2000	73
ტიბეტსა და ინდოეთს.....	74
კოლხური ცა.....	75
*** ამ ლამაზ ცისქვეშეთში.....	76
*** ჰელიოსის სხივიდან.....	77
*** ამქვეყნიური ამაობის	78
*** კოლხეთიდან მოსული....	79
*** მწუხრი როდესაც ცის	80
*** წარსულიდან გადმომსკდარი	81
*** მე, სიშორის წითელ ღვინით	82
*** შენ სიკვდილი ვერრას გიზამს.....	83
შენ ხარ მცირე სოფელი	84
*** შორეული ზეციდან	85
*** დღეთა ფრთების ფათქუნით.....	86
*** თაგს იწონებს მთიებში.....	87
*** ამ წუთისოფლის შარაზე.....	88
*** ვითარც ადრე.....	89
დგას და არსად მიდის ბორჯი	90

*** უფლის სიშორეს	91
ნენიკამენ	92
*** ჭეშმარიტად	93
ებ და ვერც აია	94
პერკულესის სვეტები	95
*** ერთხელ უნდა გაგიყდე	96
*** მახვილს გავხარ ალესილს	97
*** ვითარცა ვარდს შირაზის	98
*** ისე, ვითარცა უხორცო	99
*** ბრუნავს ჟამთა მორევი	100
*** ადამიდან მოყოლილი	101
*** როს ცამ ელგას მეხი სტყორცნა	102
*** უფლის რწმენის წყურგილედან	103
ქსენოფილები	104
მწვერვალი	106
*** ზოგჯერ ყოფნაც კი	107
იმედი	108
ვითა დანტე ალიგიერს	109
ისტორია	110
*** რა არის ჩვენი სიცოცხლე	111
თავი შენი შეიცან	112
*** გიყვარდა და	113
გალილეო გალილეის	114

სიკვდილამდე არ მოკვდე	115
გონ-ბრმათა და ყრუ-მუნჯთა	116
*** ძველ ქოლხეთის წარსულიდან	117
შატილსა და ბარისახოს	118
უფლის ნებით	119
ორფეოსო – ეგრის ძევ!	120
თაფლი და სანთელი	121
ჰკიოთხეთ ბრძენკაც ჰეროდოტეს	122
*** მცირედ გიჩანს სამყარო	123
მოტაცება	124
გჰეი! გჰეი! ოჰო! ოჰოო!	125
ლტოლვა	126
მთვარის დროშა	127
*** სიბრძნის გზაზე	128
მწუხარების თემა-წვერი	129
იმედი	130
გაზაფხული	131
მწოლიარე ლექსები	132
ყაჩაღები	133
ყვავილნარი	134
ხილვა: ემილ ზოლა,	
ემილ დიკინსონი	135
ბედისწერა	136

გიორგი აპოლინერი.....	137
იმედი	138
70	139
*** გაკრთა ელვა მწევარივით	140
*** პონტოს აკვნით ნარწევებს	141
ნიჭი	142
*** შოორს მიმავალი ათასწლეულის....	143
*** დღისით – მზის დამწყურვეალო	144
ოდისევსი და ილიადა.....	145
ყორათი და ჭალადიდი	146
არმარდანი	147
ზეიგენი	148
ისევ შუა ხორგის სასაფლაო	149
ეპილოგი	150
ზღვები.....	151
ლარჯემი და გუდასტვირი	152
გონი	153
100-ტომეული	154
როგორც ჰორაციუსი.....	155
ვახტანგ გორგასალი,	
რიჩარდ ლომბგული	156
ტრუბადურები	157
15 მაისი.....	158

საქართველოს ფერთა ცის.....	159
ნიბირუ.....	160
ხევსური ქალი.....	161
ცვალებადია საწუთო.....	162
ზევსი	163
მუხა პარას ჭალაში	164
ხილვა – მედეა, აფსირტე, აიეტი	165
თოლიების ფოთლები	166
თარი, თური.....	167
შურის შავი ფარდები.....	168
* * * მზე რომ დატოვებს	169
განთიადი სოფელში.....	170
აჩხურის და ამონის.....	171
* * * უსამანო სივრცეებში ფრთების	172
* * * გასცქერი კოლხეთს აიეტივით	173
* * * ათას ქარ-ცეცხლ გამოვლილი	174
* * * ვადიდებ და ვადმერთებ	175
ხეთი, ხათი და ალიბი	176
ბატი და გედი	177
* * * ზოგ ცოდვილს მდუღარე კუპრი..	178
ძე ადამის	179
სული ბექირის და ბიძირის	180
ამინდის უეცარი შეცვლა ზღვაზე.....	181

რიცხვები	182
* * * მზის და მთვარის თვალება	183
* * * აღარსად ჩანდნენ ალბატროსები	184
უფლის ნაწერი წერილი	185
* * * დამე ნისლებს მიაბოლებს	186
ხალხური პოეზიის კითხვისას	187
* * * უნდა მოედოს მთათა	188
ბაბილონი – ძვ.წ. 529 წლის	189
* * * ისე, ოოგორც	190
ხილვა: სამოთხის ხე	191
* * * შორეულ ღამიდან მოსული	192
ვარსკვლავების სერობა	193
* * * საქართველოს ციონ	194
ვარხვების გადაფრენა	195
ბაბილონის გოდოლი	196
* * * ცნობადის ხეთა ფესვები	197
* * * მეტეორების გამოქროლება	198
* * * საქართველო	199
ხ ე ბ ი	200
* * * არესისა და პარას ჭალაში	201
* * * წამი რაა	202
* * * კუბოებია	203
რეა-კიბელა	204

* * *	ვიდებ მითებს და ლეგენდებს.....	205
	რუდოლფ შტაინერი	206
* * *	სიცოცხლე	207
	მზის და ოქროს საწმისის	208
	ტაბიძის და გრანელის	209
	გიხმობს ხმა კოსმიური	210
	გესმის შორი ძახილი	211
	სამყარო	212
	მკვდართა ქალაქი	213
* * *	მოვიდნენ და მთიებმა	214
* * *	ამაქვეყნად მოსვლის დღიდან	215
	ჩვენი გულები	216
* * *	ვითარცა ადრე	217
	გზა უჩინარი	218
* * *	ვით ცეცხლწაკიდებულ	219
* * *	მჭმუნვარე მთვარე	220
* * *	რომ გდვვს თოვლის სისპეტაკე ...	221
* * *	არ ჩანს ხიდი მირაბოს!	222
* * *	ბიბლიური კოლხეთი	223
	თეთრი ვარდი	224
***	მთვარის დარბაზში ზის არხეინად ..	225
***	უდალატოს და მარად უტყუარს	226
***	სიმწვანით ოდნავ შებუმბლულ	227

*** სამშობლო იყო ჩემი ოცნება....	228
*** ცას ტოტზე მცოცავ შედამების	229
*** შველას ითხოვდა.....	230
ვით გილგამეშმა.....	231
*** უცებ განახვეს დამის კარები	232
ჩემი ბავშვობა იქ არის	233
*** აბრიალებს მზის.....	234
*** ქვეყნად	235
*** ნაპირს მოადგა და ხელი დამიქნია.	236
ციცინათელა.....	237
ჩემი ფაზისი.....	238
*** საუკუნეებ მეოცეებ	239
*** გადმონადენი ათასწლეულებს	240
თელა და იფანი.....	241
*** ზეიმობდა ბუნება... ..	242
*** ცისა და მიწის დასალიერთან.....	243
ჭყონდიდი	244

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 81

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 84

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ზურაბ ლიანართია |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძემ |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – ნანა გეღაძე |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყანეაშვილები |
| გამომცემელი | – ზურაბ ლოლგაია |
| ფასი 20 ლარი | |
| თბილისი | |
| 2020 | |



გამომცემლობა „კონვენციალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ჭ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com